

დავით ციმაკურიძე

DAVID TSIMAKURIDZE

პაატა ნაცვლიშვილი

ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები

GEORGIAN OLYMPIC CHAMPIONS

პროექტის ავტორი და მთავარი რედაქტორი
ელგუჯა ბერიშვილი

THE PROJECT AUTHOR AND EDITOR-IN-CHIEF
Elguja Berishvili

პროექტის მენეჯერი
ემზარ ზენაიშვილი

THE PROJECT MANAGER
Emzar Zenaishvili

პროექტის კოორდინატორი
რუსუდან აფციაური

THE PROJECT COORDINATOR
Rusudan Aptsiauri

ტექსტი
პაატა ნაცვლიშვილი

TEXT
Paata Natsvlishvili

დიზაინი
ვახტანგ შატაიძე

DESIGN
Vakhtang Shataidze

რედაქცია
**ავთანდილ გურასაშვილი, ჯემალ კასრაძე, დავით ჭელიძე,
კარლო ფაჩულია, ზაალ ანჯაფარიძე, ინგა ალავიძე,
ნანა ჯოხარიძე, მაია ბერიშვილი, ივანე ბურნაძე**

EDITORIAL STAFF
**Avtandil Gurasashvili, Jemal Kasradze, David Chelidze,
Inga Alavidze, Karlo Pachulia, Zaal Anjaparidze, Nana Jokharidze,
Maia Berishvili, Ivane Burnadze**

ფოტო
**მიხეილ ზარგარიანი, ალექსანდრე კოტორაშვილი, იური სომოვი,
ჯემალ კასრაძე, ბორის სვეტლანოვი, www.sportphoto.ge**

PHOTO
**Mikhail Zargaryan, Aleksandre Kotorashvili, Yuri Somov,
Jemal Kasradze, Boris Svetlanov, www.sportphoto.ge**

პარტნიორები
**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი
საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ოლიმპიური სოლიდარობა
საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია**

PARTNERS
**Georgian National Olympic Committee
Olympic Solidarity of the International Olympic Committee
Georgian Wrestling Federation**

ISSN 2233-3096
ISBN 978-9941-0-3416-9

ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები



დავით ციმაკურიძე

2011

© საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია
© GEORGIAN SPORTS WRITERS ASSOCIATION

ისტორიამ ძალზე სამართლიანად განსაჯა, როცა პირველი ოლიმპიური ოქროს მედალი საქართველოში მოჭიდავეს გამოატანა. ისტორიის ეს ჯილდო კიდევ უფრო დასაფასებელია, თუ გავითვალისწინებთ, რომ დავით ციმაკურიძე — პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი — უბრალოდ მოჭიდავე არ ყოფილა. იგი უშუალო მემკვიდრე იყო იმ სახელოვანი ფალავნებისა, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში ქმნიდნენ ქართული ჭიდაობის ფენომენს, მერე და მერე რომ მსოფლიო ალაპარაკა. „უშუალო მემკვიდრე“ აქ სულაც არ არის მეტაფორა: დავით ციმაკურიძის მამა — მიშიკო მაჩაბელი ერთ-ერთი უკანასკნელი იყო ქართველი პროფესიონალი ფალავნების კოჰორტაში, რომლებიც ცირკის ნახერხმოყრილ არენაზე ჭიდაობდნენ, არაერთი ბრწყინვალე გამარჯვება მოუპოვებიათ, არაერთი თაყვანისმცემელი და გულშემატკივარი ჰყოლიათ არა მარტო საქართველოში, არამედ რუსეთის მთელ იმპერიაში, მაგრამ ოლიმპიურ თამაშებში, ევროპისა თუ მსოფლიო ჩემპიონატებში მონაწილეობა ობიექტურ მიზეზთა გამო არ მიუღიათ და თავისი სახელი საერთაშორისო ოფიციალური ტიტულებით არ შეუმკიათ.

ეს მომდევნო თაობათა საქმე იყო.

* * *

„...ამ დროს ხალხში რაღაც ჩოჩქოლი ატყდა და მოისმა კიჟინი: „დაუკარით, დაუკარითო!“ უცბად შეჩერდა აბდუშაჰილი და აქეთ-იქით დაიწყო ყურება. წრეში ვეფხვივით შემოვარდა ერთი ვიღაც ტანწვრილი, მაღალი, მხარბეჭიანი და თმაგაჩეჩილი ახალგაზრდა, შეხედა მოპირდაპირეს და შეჩერდა. თათარმა ტორტმანი დაიწყო და ხელების შლა; უცებ გაექანა შურდულივით ახალგაზრდა, შეუვარდა ფეხებში, გამოჰკრა ორივე ხელი, ჯირკივით გადააგორა ფალავანი და გამოიჭრა წრიდან.

— არა, არა! ჯერი არ არის, მაგრე არ იქნებაო! — ჰყვიროდნენ თათრის მომხრეები. გაბრუებული აბდუშაჰილი წამოდგა ზეზე და სთქვა: „მე ჯერ სალამი არ გამეთავებია და ის ღალატით მომვარდაო“.

ძალათი გამოათრიეს მეორედ ახალგაზრდა, ის გაჩერდა ერთ ადგილას და აღარ იძროდა.

— თათარო, სალამი რომ გაათაო, დამიძახე და მოვალო! — მიაყვირა ფალავანს. იმანაც, ბრაზმორეულმა, კამეჩივით მიაშურა ახალგაზრდას, მაგრამ ის განზე გაუხტა და თათარმა ხელები ჰაერს მოუპოტინა. რამდენჯერმე ჩაუქროლ-ჩამოუქროლა ახალგაზრდამ გოლიათს, მაგრამ ატყუებდა: ხან აქეთ და ხან იქით უხტებოდა, რომ ხელში არ ჩავარდნოდა. მოთმინებიდან გამოსული თათარი წყევლა-კრულვით დასდევდა მოპირდაპირეს; შეურჩია დრო როგორც იქნა ახალგაზრდამ, მოავლო ხელი მკლავში, წამოიკიდა ზურგზე, გადიღო კისრულით და უშვა ხელები. აბდუშაჰილი სიგრძისად გაიდღლაშა გულაღმა დედამიწაზე... გამარჯვებულმა ცალი ფეხი დაჰკრა ფაშვზე, გადაახტა და გავარდა წრიდან. ხალხმა კიჟინი დასცა.

— შაიტან, შაიტან! — დაიძახეს აქეთ-იქიდან თათრებმა.

— ახლა გინდა შეიტანეთ და გინდა გამოიტანეთ ეგ თქვენი რუმბივით გაგორებული ფალავანი, სულ ერთიაო, — უპასუხებდნენ მხიარულად ქართველები“.

* * *

ალბათ შემთხვევითი არ იყო, რომ შემდგომში ცნობილმა მწერალმა ედიშერ ყიფიანმა სწორედ „ბაში-აჩუკი“ გაიხსენა დავით ციმაკურიძის ოლიმპიური გამარჯვებისადმი მიძღვნილ წერილში „გამარჯვებიდან გამარჯვებამდე“, რომელიც 1952 წელსაა დაწერილი.

აკაკი წერთელის „ბაში-აჩუკი“ არც ერთადერთია და არც პირველი იმ ტექსტებს შორის, რომლებშიც ქართველ ფალავანთა გამარჯვებაა ასახული. პირველი ქართული წერილობითი წყარო, სადაც ჭიდაობაზეა ლაპარაკი, „სერაპიონ მესვეტის ცხოვრება“ გახლავთ — XI საუკუნის აგიოგრაფიული ძეგლი.

ორი ქართველი მებრძოლის გამარჯვება ოქროს ურდოში გამართულ ჭიდაობაში და ამის გამო მონღოლთა მიერ მათი მოკვდინება აღწერილი ჰქონია ფრანცისკანელ ბერს ჯოვანი კაპრინის.

„ქართლის ცხოვრებაში“ XII საუკუნის ერთ მედროვე მმართველს ჟამთააღმწერელი ახასიათებს, როგორც კარგ მორკინალს: „არავინ იპოვა მსგავსი მორკინალი მისი, და ვინცა იპოვა, ყოველთა სძლო“.

მორკინალი, საბას განმარტებით, მოჭიდარია, დღევანდელი ტერმინოლოგიით — მოჭიდავე. სახელოვანი მორკინალი-მოჭიდარი-მოჭიდავე მუდამ



ბევრი იყო საქართველოში. მრავალი მათგანის სახელი წერილობით წყაროებს თუ ზეპირ გადმოცემებს შემოუნახავთ, უფრო მეტი ფალავნის სახელი კი სამუდამოდ დაიკარგა.

არაერთი ქართველი მეფე, დიდებული თუ სამხედრო მოღვაწე თავისი დროის სახელგანთქმული მოჭიდავე ყოფილა. ჩანს, ჭიდაობა საქართველოში უძველესი დროიდანვე იყო პოპულარული, როგორც ფიზიკური წრთობის ნაცადი საშუალება.

გადმოცემით, კარგი მოჭიდავე ყოფილა გიორგი სააკაძე, რომელსაც რამდენიმე ქართველი ფალავნის დამჩაგვრელი მავანი ყიზილბაში მოჭიდავე ადვილად დაუმარცხებია ისპაანში, შაჰის თვალწინ. სხვათა შორის, სააკაძის (და მასთან ერთად დავით აღმაშენებლის) ფალავნობის ამბავი ნახსენებია ბულგარელი პროფესორის რაიკო პეტროვის წიგნში „ოლიმპიური ჭიდაობა ათასწლეულთა მანძილზე“, რომელიც 1993 წელს ბუდაპეშტში ინგლისურ ენაზე გამოსცა ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ მისი პრეზიდენტის მილან ერცეგანის წინასიტყვაობით. ამავე წიგნის მდიდარ საილუსტრაციო ნაწილში (სამწუხაროდ, ავტორის მიუთითებლად) დასტამბულია ფერადი რეპროდუქცია დიმიტრი ხახუტაშვილის ფერწერული ტილოსი „ქართული ჭიდაობა“.

ჭიდაობა ქართველი კაცისათვის ოდითგანვე ერთ უმთავრეს სავაჟკაცო საქმედ ითვლებოდა ჯირითობასთან, მშვილდოსნობასთან და ფარიკაობასთან ერთად. იგი ქართული დღესასწაულებისა თუ ყოველდღიური ყოფის განუყოფელი ნაწილი იყო. მეტიც — ჭიდაობა ეროვნული იდენტობის, ეროვნული სულიერების ერთგვარი მახასიათებელიც გახლდათ.

ალავერდის საკათედრო ტაძარში შემორჩენილ ფრესკაზე გამოსახულია ქართულ ჩოხაში გამოწყობილი ორი მოჭიდავის შერკინების მომენტი. ჭიდაობის ეპიზოდი ფრესკაზე! ეს უთუმცაოდ ადასტურებს, რომ ჭიდაობა საქართველოში გაცილებით მეტი იყო, ვიდრე რომელიმე მის მეზობელ (თუ არამეზობელ) ქვეყანაში.

აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი, რომლის რექტორობის დროსაც თბილისის უნივერსიტეტში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ფიზიკურ აღზრდასა და სპორტს, წერდა:

„ჭიდაობა ჩვენთვის მარტო სპორტი არ იყო. იგი ერთ-ერთი კომპონენტია ერის სულიერი ყოფის ჩამოყალიბებისათვის... ქართული ჭიდაობა ისეთივე

ეროვნული საუნჯეა, როგორც ფოლკლორი, ქართული სიმღერები, ქართული ხუროთმოძღვრება და სხვა“.

თაობათა ხსოვნამ თუ ქართულმა პრესამ XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის არაერთი სახელოვანი ქართველი ფალავნის სახელი შემოინახა. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ: დავით ხიზამბარელი თუ კულა გლდანელი, ნესტორ ესებუა თუ კოსტა მაისურაძე, ძმები ეგნატაშვილები თუ ძმები ვერელები, ლადო კავსაძე თუ ვანო აბულაძე, მიხა ქურხული თუ გიორგი ჯიბგირი, სანდრო კანდელაკი თუ მრავალი სხვა. ფალავანთა ამ გუნდის დიახაც თვალსაჩინო წევრი იყო მიშიკო მაჩაბელიც.

ოფიციალურ საერთაშორისო ასპარეზობამდელი ქართველი ფალავნების შესახებ საინტერესო ცნობები შეკრიბა და გამოაქვეყნა ქართული სპორტული პრესის დაუღალავმა მუშაკმა, თავადაც ძველმა მოჭიდავემ გაბრიელ ბარჯაძემ 1998 წელს გამოქვეყნებულ თავის წიგნში „საქართველოს რომ ფალავნები ჰყოლია...“

ბიოგრაფიული ცნობების ძირითადი ნაწილი მიშიკო მაჩაბლის შესახებ სწორედ ამ წიგნიდან მოვიხმეთ.

* * *

მიხეილ ციმაკურიძე წარმოშობით ობჩიდან იყო. დებიუტი 16 წლისას, ჯერ კიდევ ქუთაისის გიმნაზიის მოსწავლეს ჰქონია არმავირში და მისი პირველი მეტოქე ცნობილი ფალავანი ჩუკლავა ყოფილა. შერკინება ფრედ დასრულებულა. 1918 წელს მონაწილეობა მიუღია მოჭიდავეთა პიატიგორსკის ტურნირში, 1919 წელს კი წარმატებით გამოსულა ბაქოს ცირკ „მოდერნში“. იმავე წლებში უჭიდავია საქართველოშიც — გამოსულა ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის ცირკის არენებზე.

სწორედ ქუთაისის ცირკში გამოსვლის წინ იყო, რომ მამამისს, თავმომწონე იმერელ ვაჟკაცს დავით ციმაკურიძეს ცირკში ჭიდაობა სათაკილოდ მიუჩნევია და შვილისთვის კატეგორიულად უთქვამს, ჩვენს გვარს საჭიდაო დიდება არ სჭირდება, ცირკში სათრეველად მას ვერ დაგანებებო. ისიც იძულებული გამხდარა, მამის მოთხოვნას დამორჩილებოდა და საჭიდაო ასპარეზისთვის ფსევდონიმი აერჩია. ბედად, ამ დროს გამოჩენილა ჭიდაობის ერთი მოყვარული, ქუთაისში მცხოვრები მისი მცნობი თავადი, გვარად — მაჩაბელი, რომელსაც ეს

მამა და შვილი — მიშიკო მაჩაბელი (მიხეილ ციმაკურიძე) და დავით ციმაკურიძე

დავით ციმაკურიძეს შთაბეჭდილებების უშრეტ წყაროდ მამის მაგალითი ჰქონდა. შესანიშნავმა ქართველმა ვაჟკაცმა, ცნობილმა მოჭიდავემ და ეროვნული სპორტის დიდმა უნთუზიასტმა მიშიკო მაჩაბელმა თავისი მემკვიდრე ისე აღზარდა, როგორც საჭიროდ მიაჩნდა. მამის და შვილის დამოკიდებულებაში იყო რაინდული სითბო და სპარტანული სიმტკიცე. მიშიკო ზრუნავდა შვილის მომავალზე და უნდოდა პატარა დავითი მამასავით სახელოვანი ვაჟკაცი გამოსულიყო.

ამბავი რომ გაუგია, თავად უთხოვია, მე ბედნიერი ვიქნები, თუ პატივს დამდებ და ფსევდონიმად ჩემს გვარს აირჩევო. ჭაბუკმა მიშიკომ ალბათ იმ მცხოვან თავადს არ გაუტეხა ხათრი, თორემ რუსულენოვან სივრცეში სატარებელ ფსევდონიმად ალბათ სხვა, რუსულად უფრო კეთილხმოვან გვარს ამჯობინებდა.

1923 წელს მიშიკო მაჩაბელი გამოსულა სოხუმის დიდ ტურნირში, რომელშიც სახელგანთქმულ ნორკინს შეხვედრია და 15 წუთში ნახერხმოყრილ არენაზე დაუდღლეშია იგი.

ასტრახანის ცირკში მიშიკო მაჩაბელს დაუმარცხებია ძლიერი ფალავნები: რაგო, შმიდტი, ნელსონი, ანდერსონი, ერმაკოვი, ვილსონი და სხვები. სცოდნიათ რა, რომ ქართველები მუსიკის თანხლებით ჭიდაობენ, იქ მიშიკოს პატივსაცემად სპეციალურად დამკვრელებიც კი მიუყვანიათ.

ორენბურგის ცირკის საჭიდაო არენაზე მიშიკო მაჩაბელს ბეჭებით დაუნარცხებია პრესის მიერ ფართოდ რეკლამირებული და მართლა ძლიერი ფალავანი ალი მუჰამედი.

მიშიკოს წარმატებით უჭიდავია რუსეთის იმპერიის 20-მდე სხვადასხვა ქალაქში. არ წაუგია არც ერთი შეხვედრა კრასნოდარში, ვორონეჟში, გროზნოში, კუიბიშევში...

1927 წელს სარატოვში მრავალი უძლიერესი პროფესიონალი მოჭიდავე შეკრებილა. ბოლო, გადამწყვეტ შერკინებაში მაჩაბელს დაუმარცხებია ლევრენტოვი და უძლიერესის სახელიც მოუპოვებია.

ტრიუმფალურად გამოსულა მიშიკო მოსკოვის ცირკში. შემდეგში მას ასევე წარმატებით უჭიდავია პენზაში, უფაში, სამარყანდში, ტაშკენტში...

30-იან წლებში მიშიკო მაჩაბელი გამოდიოდა თბილისის ცირკში, სადაც უძლიერეს პროფესიონალთა ტურნირები იმართებოდა. იმ ხანად საქართველოში საჭიდაოდ ჩამოდიოდნენ საქვეყნოდ აღიარებული ფალავნები: ვსევოლოდ ხერცი, პიოტრ და პაველ ზაგორიუკოები, ელდარ გეოგჩაილი, ღონიერი ზანგი ფრანკ გუდი, ბოგატირიოვი (ალექსანდრ მაზური, 1955 წლის მსოფლიო ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში), გობოზოვი, ზაიკინი...

მიშიკო მაჩაბელს არაერთხელ უჭიდავია თავის მშობლიურ ზესტაფონშიც და არაერთხელ გაუხარებია თავისი გამარჯვებებით მისი იქაური გულშემატკივარი. ზესტაფონში, ბონდის ხიდთან მდებარე საზაფხულო ცირკს, რომელსაც „ბარაბანს“ ეძახდნენ, ჭიდაობის მოყვარული მაყურებელი არასოდეს კლებია. ის კი არა, ცირკის ახლოს მდგარი ხეები დილიდანვე თურმე უადგილოდ დარჩენილი ბავშვებით იყო დახუნძლული. ზესტაფონში მიშიკო მაჩაბლის მეტოქეები ყოფილან ცნობილი ფალავნები: ავგუსტ პეტერსონი, ალი ისმაილი, ელდარ გეოგჩაილი, მიშიკო ბაბალიკაშვილი, ლავრენტი კახეთელიძე და სხვები.

მიშიკო მაჩაბელმა ცხოვრების ხანგრძლივი გზა განვლო. მეოცე საუკუნის თანატოლი, ის საქართველოს ორივე დამოუკიდებლობას მოესწრო და 1991 წელს გარდაიცვალა 91 წლისა. იგი მონაწილე, თვითმხილველი და მომსწრე იყო საქართველოში ჭიდაობის განვითარებისა კულა გლდანელიდან და ნესტორ ესებუადან მოყოლებული, ვიდრე ელდარ კურტანიძემდე. ჭიდაობამ მის თვალწინ სოფლის მოედნებიდან თუ ცირკებიდან სპორტის სასახლეებში გადაინაცვლა, პროფესიონალური ჭიდაობის ადგილი სამოყვარულო ანუ სპორტულმა ჭიდაობამ დაიკავა, უძლიერესმა ქართველმა ფალავნებმა კი ოლიმპიადების, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების მედლებით დაიმშვენეს ძლევამოსილი მკერდები, ხოლო პირველ დიდ ქართველ ჩემპიონთა უკვე გრძელ რიგში სწორედ მისი ვაჟი — დავით ციმაკურიძე იყო. მიშიკო მაჩაბელი საქართველოში ოლიმპიურ ჩემპიონთა კლუბის დაარსებასაც მოესწრო, რომლის პირველ პრეზიდენტად მისი შვილი აირჩიეს და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნასაც, რომლის დამფუძნებელი და სიცოცხლის ბოლომდე უცვლელი წევრი გახლდათ დავით მიხეილის ძე.

დიდი დავით ციმაკურიძის ნების საწინააღმდეგოდ და მისი კატეგორიული აკრძალვის მიუხედავად, მის გვარს (და სახელსაც!) სულ რაღაც ერთი თაობის შემდეგ მაინც არ ასცდა საჭიდაო დიდება!

მიშიკო მაჩაბელმა პროფესიული სარბიელი 1940 წელს დატოვა. იმავე წელს ბაბუის მოსახელე დავით ციმაკურიძემ პირველად შეაღო იმ საჭიდაო დარბაზის კარი, რომელსაც პეტრე იორდანიშვილი ხელმძღვანელობდა და რომელსაც ძველი თბილისელები სიყვარულით დღესაც „პეტრეს ცირკს“ ეძახიან.

* * *

საოცარია — პირველ ქართველ ოლიმპიურ ჩემპიონს ბერძნული მეტსახელი ერქვა: დავით ციმაკურიძეს ყველა ამურას ეძახდა. ბევრს ეს სახელი სიჭაბუკისდროინდელი ეგონა, დავითის სასიყვარულო თავგადასავლებიდან გამომდინარე, სინამდვილეში კი ამურა მისთვის ბავშვობაშივე შეურქმევიათ ოჯახში.

ყველა ცნობისმოყვარე ბავშვისა არ იყოს, ერთ მშვენიერ დღეს პატარა დათიკო დედას შეუჩნდა, გინდა თუ არა, მითხარი, როგორ გავჩნდიო.

როგორც ჩანს, წეროსა თუ კომბოსტოს ამბავი დედამისს ტრივიალურად ეჩვენა და ორიგინალური ვერსია შესთავაზა:

აივანზე ვიდექი, ამურებმა ჩამოიფრინეს, შენც მათ შორის იყავი, მომეწონე და დაგიტოვეო.

ამურები პატარა დათიკომ კარგად იცოდა, ერთი რომ — მაშინ ბევრი თბილისური ბინა თუ სადარბაზო იყო მოხატულ-მოჩუქურთმებული პატარა ამურებით, და მეორე — უკვე კარგად იცნობდა ბერძნულ მითებს.

ბერძნული ოლიმპიადების ამბავი კი მას ჯერ არ გაეგო; არც თანამედროვე ოლიმპიადებისა, რა თქმა უნდა. მით უმეტეს ვერასოდეს წარმოიდგენდა, თუ ოლიმპიური ჩემპიონი გახდებოდა, თანაც პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი...

— ბატონო დავით, თქვენ ქართველთა შორის პირველმა მოიპოვეთ ოლიმპიური ჩემპიონობა, — ასე დაიწყო დავით ციმაკურიძესთან საუბარი 1993 წლის მარტში თამაზ კვაჭანტირეძემ.

— აბა რა გითხრათ... ჩემზე ადრე იქნებ რომელიმე კოლხმა მორბენალმა ან მოჭიდავემ შეძლო ეს...

— ბატონი ბრძანდებით, დავაზუსტოთ: ჩვენი წელთაღრიცხვით პირველ ოლიმპიადაზე, რომელშიც ქართველები მონაწილეობდნენ, თქვენ ხართ ჩვენს თანამემამულეთა შორის პირველი, ვინც ოქროს მედალი მოიპოვა. იღბალი იყო ეს, შემთხვევითობა თუ კანონზომიერება?

— ცოტ-ცოტა ყველაფერი. ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრება ჩვენსაზე ადრე რომ დამთავრებულიყო, ან, ცოტა ძნელი წარმოსადგენი კია, მაგრამ არსენა რომ სამი ფუთით ჩემზე მჩატე ყოფილიყო, პირველი ჩემპიონი, ალბათ, მზია ჯუღელი ან არსენ მეკოკიშვილი იქნებოდა.

— სამი ფუთით მჩატე არსენა ის არსენა აღარ იქნებოდა.

— ცდებით, იგივე არსენა იქნებოდა. მოჭიდავე არც წონა და, თქვენ წარმოიდგინეთ, არც მარტო ჯანია. არსენას ხასიათის კაცი არ შეიძლებოდა პირველი არ ყოფილიყო, სხვა წონაში კი არა, თუ ხელს მოჰკიდებდა, სპორტის სხვა სახეობაშიც.

— შვიდგზის საბჭოთა კავშირის ჩემპიონი დავით ციმაკურიძეც, ალბათ, ხელცარიელი არ დაბრუნდებოდა მსოფლიო ჩემპიონატიდან, თუნდაც ერთხელ რომ მიეღო მასში მონაწილეობა.

— შეიძლება... ისე, ეტყობა, სამართალმა პური ჭამა, რაღაც კანონზომიერებაც ნაღდად იყო — პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი სწორედ მოჭიდავე უნდა ყოფილიყო. მაინცდამაინც მე კი არა, მოჭიდავე, სულერთია ვინ, მაგრამ მოჭიდავე...

* * *

1952 წლის 27 ივლისის ნომერში, გაზეთმა „ლელომ“ ციმაკურიძის ჩემპიონობის ამბავი აუწყა მკითხველს. იმავე ნომერში ახალგაზრდა ჟურნალისტმა ბიჭიკო ქორქიამ იმ დროისათვის დამახასიათებელი თხრობის მანერით ერთი საინტერესო ეპიზოდი გაიხსენა ჩემპიონის ბავშვობიდან:

„საჭიდაო ხალიჩაზე ორი გოლიათი გამოვიდა. ისინი ერთმანეთს მიუახლოვდნენ, წესისამებრ ხელი ჩამოართვეს...

მაყურებლით გაჭედილი დარბაზი გაინაბა. ჭიდაობის მოყვარულთა ყურადღება მიპყრობილი იყო ხალიჩისაკენ, სადაც მოჭიდავეებს ერთმანეთის-

საქართველოს ნაკრები თავისუფალ ჭიდაობაში. მარცხნიდან მეოთხე — დავით ციმაკურიძე

თვის რკინის მკლავები გადაეხლართათ და მცირე ხნით გაყუჩებულიყვნენ. წამიც და დაიწყო თავბრუდამხვევი ილეთები და ფანდები. გულშემატკივარნი მოჭიდავეებთან ერთად ღელავდნენ.

მაყურებელთა შორის იყო ათიოდე წლის დავით ციმაკურიძე, რომელიც სულგანაბული შესცქეროდა ხალიჩას, სადაც მამამისი, ცნობილი ქართველი მოჭიდავე მიშიკო მაჩაბელი (ციმაკურიძე) საგულდაგულოდ შებმოდა ვეებერთელა მოყვანილობის ლავრენტი კახეთელიძეს.

გული უთრთოდა დავითს, მღელვარებისგან ფერი წასვლოდა. გავიდა ხუთი წუთი, ექვი, შვიდი... უცებ იქუხა დარბაზმა. მაჩაბელი ელვისებურად შემოტრიალდა, ოდნავ ჩაიჩოქა, მეტოქის ხელი მხარზე მოიგდო და ძალუმად დაიქნია. დაიქნია და თვითონაც გადაყვა. მყისვე ორივე მოჭიდავის სხეულმა ჰაერში გაიელვა. კახეთელიძე ხალიჩაზე ბეჭებით დაენარცხა.

არაფერი არ ახსოვდა იმ დროს დავითს. სკამზე ფეხებით შემდგარიყო, აღტაცებული ხელებს იქნევდა და ხმამაღლა გაჰკიოდა.

მეორე დღეს დავითმა საჭიდაო წრე მოაწყო ეზოში და თავისი ტოლ-ამხანაგები მოიწვია. დავითს რომ ჰკითხოთ, გეტყვით, რომ სწორედ იმ დღიდან დაიწყო მისი სპორტული გზა.“



ჭიდაობის ისტორიაში ბევრმა ქართველმა ოტატმა დატოვა კვალი. საქართველოს მადლიან მიწაზე არა ერთი და ორი სახელმოხვეჭილი ფალავანი აღიზარდა, მაგრამ ისეთი გაბედული, შეუპოვარი და შთაგონებით აღსავსე მებრძოლი, როგორიც დავითი იყო, ბარე ორი არ გვყოლია... დავით ციმაკურიძის სპორტული ბიოგრაფიის ყოველ ფურცელს ტიტანური შრომის დაღი ატყვია.

ბიჭიკო ქორქიას კოლეგა და თანამშრომელი, ამავე დროს ამურ ციმაკურიძის მეგობარი ნოდარ გუგუშვილი იმავე გაზეთში თითქმის მთელი მეოთხედი საუკუნის შემდეგ დაწერს:

„დავით ციმაკურიძეს შთაბეჭდილებების უშრეტ წყაროდ მამის მაგალითი ჰქონდა. შესანიშნავმა ქართველმა ვაჟკაცმა, ცნობილმა მოჭიდავემ და ეროვნული სპორტის დიდმა უნთუზიასტმა მიშიკო მაჩაბელმა თავისი მემკვიდრე ისე აღზარდა, როგორც საჭიროდ მიაჩნდა. მამის და შვილის დამოკიდებულებაში იყო რაინდული სითბო და სპარტანული სიმტკიცე. მიშიკო ზრუნავდა შვილის მომავალზე და უნდოდა პატარა დავითი მამასავით სახელოვანი ვაჟკაცი გამოსულიყო. შვილი, რა თქმა უნდა, გრძნობდა ამ ყურადღებას და სიყვარულს, მაგრამ მშობლიური სიყვარულიც კი არ აძლევდა უფლებას გადაელახა მამა-შვილს შორის არსებული ურთიერთპატივისცემის ზღვარი. დავითი ხარბად ითვისებდა ვაჟკაცობის დაუწერელ კანონებს, მაგრამ ამასთან მტკიცედ იცავდა ერთგვარ ზნეობრივ დისტანციას.

რატომ შეუყვარდა დავითს ჭიდაობა? ჩვენი აზრით, უფრო სამართლიანი იქნება ამ შეკითხვის შებრუნება: რატომ არ უნდა ყოფილიყო ჭიდაობა დავითის პირველი და მთავარი სიყვარული? ცოცხალი მაგალითი მას თვალწინ ჰქონდა, ბუნებამაც უხვად დააჯილდოვა ჯან-ღონით. დავითი ჯერ სულ ახალგაზრდა იყო, უწვერულვაშო. განა შეიძლება არ უნდოდეს ყმაწვილს გახდეს ხალხის სათაყვანებელი ფალავანი?“

* * *

პირველი ორი ოლიმპიადის საერთო შედეგებით ამერიკელებმა დაჯაბნეს ევროპელები. სწორედ ამერიკელ სპორტსმენთა წარმატებები გაითვალისწინა საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა, როცა გადაწყვიტა, მესამე ოლიმპიური თამაშები ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარებულიყო. პირველ ოლიმპიადებზე ასპარეზობათა პროგრამას მასპინძელი ქვეყანა განსაზღვრავდა და ამერიკელებმა სენტლუისის თამაშების პროგრამაში ჭიდაობაც შეიტანეს. მაგრამ ჭიდაობის იმ სახეს მაშინ თითქმის არავინ იცნობდა ევროპაში. მას იგივე წესები ჰქონდა, რაც კლასიკურს, მაგრამ, ამასთანავე, ნებადართული იყო ნებისმიერი ჩავლება ფეხში და ილეთები ფეხების დახმარებით.

საერთოდ, ჭიდაობა სპორტის ერთ-ერთი ყველაზე უძველესი სახეობაა. მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხს აქვს ჭიდაობის საკუთარი, ეროვნული სახე თავისი წესებითა და ტრადიციებით. ოფიციალური ვერსიით, ჭიდაობა, რომელიც მსოფლიომ სენტლუისის ოლიმპიადაზე გაიცნო, ინგლისში წარმოიშვა. XVIII საუკუნეში აქ უკვე არსებობდა ჭიდაობის ვარიანტი, რომლის წესები ფაქტობრივად არაფრით ზღუდავდა სპორტსმენს. ჭიდაობის ამ სახეს ხატოვანი სახელი ერქვა: „კეჩტ ეზ კეჩტ ქენ“ („ჩაავლე, როგორც შეგიძლია“), ანუ მარტივად — „კეტჩი“. ამერიკელებმა ოლიმპიადის პროგრამაში შეიტანეს მათთან საკმაოდ ფეხმოკიდებული (დიახ, ფეხმოკიდებული ფეხშიმოკიდებული!) კეტჩის სამოყვარულო ვარიანტი, რომელიც განსაკუთრებით პოპულარული იყო სტუდენტებში. საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა აღიარა ეს სახეობა და მას „ფრისტაილ“ — „თავისუფალი სტილი“ უწოდა. თავად მოჭიდავეებსა და ჟურნალისტებში კი იგი „ამერიკული ჭიდაობის“ სახელით გავრცელდა „ფრანგული ჭიდაობის“ ანალოგიით, როგორადაც მაშინ უწოდებდნენ ანტიკურ ჭიდაობას. დღეს „ამერიკულ ჭიდაობას“ „თავისუფალ ჭიდაობას“ ეძახიან. თავისუფალი ჭიდაობაში სტუდენტურ ასპარეზობათა პრაქტიკიდან გადმოიღეს შეჯიბრებების მონაწილეთა წონით კატეგორიებად დაყოფაც, რაც სენტლუისის ოლიმპიადამდე არ ყოფილა მიღებული.

1948 წლიდან როგორც თავისუფალ, ისე ანტიკურ ჭიდაობაში 8 წონითი კატეგორია დამკვიდრდა: უმჩატესი, მჩატე, ქვემსუბუქი, მსუბუქი, ქვესაშუალო, საშუალო, ქვემძიმე და მძიმე; თუმცა წონათა საზღვრები იცვლებოდა ხოლმე. ყველა წონით კატეგორიაში დადგენილია ზედა ზღვარი, გარდა მძიმე წონისა, სადაც ქვედა ზღვარია დადგენილი.

ჰელსინკის ოლიმპიადაზე დებიუტანტებმა — საბჭოთა და ირანელმა ფალავნებმა — არევ-დარევა შეიტანეს მსოფლიო ჭიდაობის ელიტაში: ირანელებმა სამი ვერცხლის და ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს, საბჭოთა მოჭიდავეებმა კი — ორი ოქროსი და ერთი ვერცხლისა. ორივე ოქრო ქართველ ფალავნებს ხვდათ წილად: საშუალოწონოსანი დავით ციმაკურიძე და მძიმეწონოსანი არსენ მეკოკიშვილი (რომელიც საბჭოთა ნაკრებში მოსკოვს წარმოადგენდა) ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ.

* * *

სწორედ იმის გამო, რომ მოსკოვის ღირსებას იცავდა, საგარეჯოელი არსენ მეკოკიშვილი ქართველ ოლიმპიონიკთა 30-კაციან კოჰორტას ვერ ამშვენებს, მაგრამ როცა დავით ციმაკურიძის ოლიმპიურ წარმატებაზე და ქართულ თავისუფალ ჭიდაობაზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება მასზეც არ ითქვას ორიოდე სიტყვა. არსენ მეკოკიშვილი არა მარტო თავისი დროის, არამედ საერთოდაც ერთ-ერთი ყველაზე გამოჩინებული ქართველი მოჭიდავე გახლდათ. საგარეჯოში მას ცნობილი პროფესიონალი მოჭიდავე მიხო ქურხული წვრთნიდა. 1932 წელს მეკოკიშვილი თბილისში ჩამოვიდა, ყველა მეტოქე დაამარცხა და პირველად გახდა საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონი. მერეც, რამდენჯერაც იჭიდავა საქართველოს ფალავნობაზე, იმდენჯერ მოიგო. მალე იგი საკავშირო ასპარეზზე გავიდა, სადაც ჭიდაობის სამ სახეობაში — კლასიკურში, სამბოსა და თავისუფალში ცდიდა ძალას. კლასიკური სტილის მოჭიდავეთა საკავშირო პირველობებში არსენ მეკოკიშვილი ორჯერ მეორე და ოთხჯერ მესამე იყო; 1940 წელს მან სამბისტთა საკავშირო პირველობა მოიგო; 1945-1956 წლებში კი ცხრაჯერ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში. ამ პერიოდში იგი უკვე მოსკოვში ცხოვრობდა, თუმცა სწორედ მოსკოვში გამოცემულ ცნობარებში მისი სადაურობის აღმნიშვნელ გრაფაში „თბილისი“ წერია.

ჰელსინკის თამაშებზე მეკოკიშვილის მთავარი მეტოქე შვედი ბერტილ ანტონსონი იყო — 1951 წლის მსოფლიო ჩემპიონი და წინა ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი. ანტონსონმა ჰელსინკიდანაც ვერცხლის მედალი წაიღო შინ. ოლიმპიური ჩემპიონი კი არსენ მეკოკიშვილი გახდა. მაშინ საგარეჯოელი ფალავანი 40 წლისა იყო! უფრო ზუსტად — 40 წლისა და 102 დღისა. იგი ყველაზე ხანდაზმული ოლიმპიური ჩემპიონია თავისუფალ ჭიდაობაში მთელი მისი ისტორიის მანძილზე. მომდევნო ოლიმპიადის წინ, როცა საბჭოთა ნაკრების შემადგენლობა ზუსტდებოდა, ბეჭდაუდებელი ოლიმპიური ჩემპიონი, რომელმაც სწორედ იმ წელიწადს საბჭოთა კავშირის ხალხთა პირველი სპარტაკიადა მოიგო, რაც გამარჯვებულის ასაკის თვალსაზრისით დღემდე აბსოლუტური რეკორდია, მასზე გაცილებით ახალგაზრდა მწვრთნელებს სთხოვდა, კიდევ ერთხელ მიეცათ მისთვის ჭიდაობის საშუალება, მაგრამ ისინი ვერ ენდნენ 44 წლის „არსენ სპირიდონოვიჩს“ და უპირატესობა ახალგაზრდა ივან

ვიხრისტიუკს მიანიჭეს, რომელსაც არაფრით გამოეჩინა თავი. მელბურნიდან დაბრუნებული მწვრთნელები თვალს ვერ უსწორებდნენ სახელოვან ჩემპიონს: ვიხრისტიუკმა მხოლოდ სამი წრე განვლო და მეექვსე ადგილზე დამუხრუჭდა. მეკოკიშვილი მეექვსე ადგილს ცალი ხელით მოიპოვებდაო, თავად აღიარებდნენ მწვრთნელები. ერთ-ერთი მათგანი ციმაკურიძეც იყო, თუმცა მისთვის გუნდის დაკომპლექტება არავის უკითხავს.

რაც შეეხება ანტონსონს, ოლიმპიადების ორგზის ვერცხლის პრიზიორი კიდევ ორ ოლიმპიადაზე გამოვიდა, მაგრამ მელბურნში მხოლოდ მე-5 იყო, რომში კი, უკვე 39 წლისა, სულაც ექვსეულს მიღმა დარჩა.

მართალია, ოთხი ცდის მიუხედავად, ოლიმპიურ ჩემპიონობას ვერ ეღირსა, სამაგიეროდ, ანტონსონი მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში გამოდიოდა დიდი წარმატებით. იგი მსოფლიოს სამგზის და ევროპის ორგზის ჩემპიონია. ამასთან, მსოფლიო ჩემპიონატების ორი ვერცხლის მედალიც აქვს. მაგრამ არსენ მეკოკიშვილი სადაც შეხვდა ამ ანტონსონს, იქ დაამარცხა: ჯერ იყო და ოლიმპიადა მოუგო, მერე კი, 1954 წელს, ტოკიოში გამართული მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში დაამარცხა და სამგზის მსოფლიო ჩემპიონი იძულებული გახდა, ვერცხლის მედალს დასჯერებოდა.

* * *

დავით ციმაკურიძის შესახებ გამოქვეყნებულ არაერთ წერილსა თუ ინტერვიუში, ნათქვამია, რომ თითქოს მის დროს ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატები არ იმართებოდა, რაც რამდენადმე არაზუსტია.

პირველი ოფიციალური მსოფლიო ჩემპიონატი ჭიდაობაში (რა თქმა უნდა, ეს იყო ანტიკური ჭიდაობა) 1904 წელს გაიმართა ვენაში. 1904-1913 წლებში და1950 წლიდან ანტიკური სტილით მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატები რეგულარულად იმართებოდა და იმართება, 1913-დან 1950 წლამდე კი სამჯერ ჩატარდა –1920, 1921 და 1922 წლებში. ხოლო თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატები 1951 წლიდან იმართება რეგულარულად. გარდა ამისა, საინტერესოა, რომ 1905-1911 წლებში ექვსი არაოფიციალური მსოფლიო ჩემპიონატი ჩატარდა ანტიკურ ჭიდაობაში. საბჭოთა, და შესაბამისად — ქართველი, მოჭიდავეები მსოფლიო ჩემპიონატებში 1953 წლიდან მო-

ნაწილეობდნენ და პირველი ქართველი მსოფლიო ჩემპიონი ჭიდაობაში გივი კარტოზია გახდა სწორედ იმ 1953 წელს. საინტერესოა, რომ 1951 წელს ანტიკურ ჭიდაობაში გამართული მსოფლიო ჩემპიონატის გამარჯვებულთა შორის ექვსი თურქი და ორი შვედი იყო; ხოლო ორი წლის შემდეგ ჩატარებულ თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატზე გათამაშებული რვა ოქროს მედლიდან ხუთი საბჭოთა ფალავნებმა მოიპოვეს და სამი — შვედებმა.

რაც შეეხება ევროპის ჩემპიონატებს, ანტიკურ ჭიდაობაში ევროპის პირველი ჩემპიონატი 1911 წელს გაიმართა, 1921 წლიდან მოყოლებული კი თითქმის ყოველწლიურად იმართებოდა 1939 წლამდე. ომის შემდეგ ევროპის ერთი ჩემპიონატი გაიმართა 1947 წელს და ამის შემდეგ მათი ჩატარება მხოლოდ 1966 წლიდან განახლდა. დაახლოებით ასევე იყო თავისუფალ ჭიდაობაშიც: ევროპის ჩემპიონატები რეგულარულად იმართებოდა 1929-1937 წლებში და ასევე რეგულარულად იმართება 1966 წლიდან; შუალედში კი ევროპის ჩემპიონატი ორჯერ გაიმართა — 1946 და 1949 წლებში. 1966 წლამდე საბჭოთა სპორტსმენებმა ევროპის ჩემპიონატებში მონაწილეობა ერთადერთხელ — 1947 წელს მიიღეს ანტიკური ჭიდაობაში და სამი მათგანი ევროპის ჩემპიონიც გახდა. 1949 წელს ისტანბულში გამართულ თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატზე რვა ოქროს მედლიდან ექვსი თურქებმა მოიპოვეს, ორი კი შვედებს დარჩათ, ზუსტად ასეთივე პროპორცია იყო მომდევნო ევროპის ჩემპიონატზეც კარსრუეში, 17 წლის შემდეგ, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ორი ოქრო თურქებს ერგოთ, ექვსი კი საბჭოთა ფალავნებმა მოიპოვეს.

სამწუხაროდ, ნაწილობრივ ობიექტური და ნაწილობრივ სუბიექტური მიზეზების გამო დავით ციმაკურიძეს არც ევროპისა და არც მსოფლიო ჩემპიონატში გამოსვლა არ მოუწია.

* * *

საბჭოთა სპორტსმენებმა საერთაშორისო ასპარეზზე გასვლისათვის მზადება დიდი ომის დამთავრებისთანავე დაიწყეს. თავდაპირველად საბჭოთა კავშირი პირველ ომისშემდგომ ოლიმპიადაზეც აპირებდა გუნდის გაგზავნას ლონდონში, მაგრამ როცა საბჭოთა ფუნქციონერებმა ამერიკელთა შედეგებს გადახედეს მძლეოსნობასა თუ ცურვაში — სახეობებში, სადაც ყველაზე მე-

ტი ოლიმპიური მედალი თამაშდება და თამაშდებოდა, სადებიუტო გამოსვლა 1952 წლისთვის გადადეს: ომში გამარჯვებულ ქვეყანას, ოლიმპიურ თამაშებშიც გამარჯვება უნდა მოეპოვებინა, სხვაგვარად არ შეიძლებოდა. გუნდური გამარჯვების გარანტია კი სტალინს ვერავინ მისცა და დიდმა ბელადმა ოლიმპიადაში მონაწილეობის მსურველებს ურჩია, ოთხი წელიც მოეცადათ და უკეთ მომზადებულიყვნენ.

ესეც კარგი პასუხი იყო. შეიძლებოდა, სულაც უარი ეთქვა. ომამდე საბჭოთა სისტემა ოლიმპიურ თამაშებს ბურჟუაზიული ცხოვრების ნაწილად მიიჩნევდა და საბჭოთა სპარტაკიადებიც ხომ თავის დროზე მათ ერთგვარ საპირწონედ შეიქმნა. სისტემამ განსაკუთრებით აითვალწუნა ოლიმპიური თამაშები მას შემდეგ, რაც 1936 წლის ოლიმპიადას ფაშისტურმა გერმანიამ უმასპინძლა. სოციალისტური იდეოლოგიისათვის გამაღიზიანებელი იყო ისიც, რომ ოლიმპიადების აღორძინების იდეა ფრანგ ბარონს ეკუთვნოდა, რომელიც დიდხანს ედგა სათავეში საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს და რომელიც ამ პოსტზე ბელგიელმა გრაფმა შეცვალა.

ასე იყო თუ ისე, მსოფლიო ომში გამარჯვების შემდეგ დიდმა ბელადმა ჩათვალა, რომ გამარჯვებები სპორტულ ასპარეზზეც იყო საჭირო და საამისო დავალებებიც გასცა. პირველ ასპარეზობად, სადაც საბჭოთა სპორტსმენების საერთაშორისო დებიუტი უნდა შემდგარიყო, ლონდონის ოლიმპიადა შეირჩა, მაგრამ, უკვე ითქვა, მისი საბოლოო შედეგი სასურველ ეფექტს ვერ მოახდენდა. თანაც მანამდე ქვეყნის ფარგლებში ჩაკეტილ საბჭოთა სპეციალისტებს დრო სჭირდებოდათ, რომ, ერთი მხრივ, შეესწავლათ სხვადასხვა ქვეყანაში სპორტის ამა თუ იმ სახეობაში არსებული მდგომარეობა და, მეორე მხრივ, ამის შესაბამისად ჯეროვნად მოემზადებინათ საბჭოთა სპორტსმენები.

გარდა ამისა, იმდენი არა, რამდენიც დღეს, მაგრამ ოლიმპიადაში სრულფასოვანი მონაწილეობისათვის საჭირო იყო გარკვეული ორგანიზაციული თუ ფორმალური ღონისძიებები, რაც 1948 წლისთვის ვერ მოესწრო. მომდევნო ოლიმპიადისთვის კი სტალინმა და მისმა გარემოცვამ ჩათვალეს, რომ თამაშებში მონაწილეობა და გამარჯვება ხელს შეუწყობდა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო პრესტიჟის განმტკიცებას და თამაშების წინა წელს შესაბამისი თხოვნით მიმართეს საერთაშორისო კომიტეტს. იქაც ბევრი არ დაახანეს, საბჭოთა კავშირის ოლიმპიური კომიტეტი, რომელიც ფიქტიურად შეიქმნა 1951 წლის

დასაწყისში როგორც სპორტის სახელმწიფო სტრუქტურის ერთი პატარა განყოფილება, იმავე წლის 7 მაისს სასწრაფოდ აღიარეს და საბჭოთა სპორტსმენთა პირველი ოლიმპიური გუნდი მომდევნო წელს ჰელსინკიში გაემგზავრა.

* * *

საბჭოთა კავშირის გამოჩენა ოლიმპიურ ასპარეზზე 1952 წლის თამაშების მთავარი მოვლენა იყო. ამის შემდეგ წლების განმავლობაში ოლიმპიური თამაშები ორი სპორტული გიგანტის — საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მეტოქეობის ნიშნით იქნება აღბეჭდილი და ოთხ წელიწადში ერთხელ ცივი ომის ყველაზე ცხელ წერტილად ავარვარდება მსოფლიოში. გიგანტების დავაში ეპიზოდურად, იშვიათად და ძალზე მოკრძალებით თუ ჩაერევიან მასპინძელი ქვეყნის, ან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენები.

ჰელსინკიში ჩასულმა საბჭოთა დელეგაციამ უარი განაცხადა, დაბინავებულიყო „კაპიტალისტი სპორტსმენების“ გვერდით კაპილას ოლიმპიურ სოფელში და ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში მყოფი აღმოსავლეთის ბლოკის ქვეყნებთან ერთად ჰელსინკის სტუდქალაქში განთავსდა. იმ შენობის ფასადზე, რომელშიც საბჭოთა სპორტსმენები დაბინავდნენ, უწინარეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, სტალინის სურათი ჩამოკიდეს.

თუმცა ოლიმპიადის გახსნის ცერემონიალზე სეფე-სიტყვა ფინეთის პრეზიდენტმა იუჰო პაასიკივიმ წარმოთქვა, ოლიმპიადა ფაქტობრივად ლეგენდარულმა ფინელმა სტაიერებმა გახსნეს: ოლიმპიური ჩირაღდანი სტადიონზე განვლილი ოლიმპიური ბატალიების გმირმა, ოთხგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, 62 წლის ჰანეს კოლეჰმაინენმა შემოიტანა და თავის უფრო სახელოვან მემკვიდრეს — 55 წლის ცხრაგზის ოლიმპიონიკს პაავო ნურმის გადასცა, რომელმაც აანთო კიდეც ოლიმპიადის ცეცხლი.

რა თქმა უნდა, დამთხვევაა, მაგრამ მეტად სიმბოლური, რომ საუკუნის უდიდეს სტაიერთა სამშობლოში, მათ მიერ გახსნილ ოლიმპიადაზე მსოფლიოს ახალ ოლიმპიურ გმირად მოევლინა ასევე სტაიერი — სახელგანთქმული ჩეხი მორბენალი, წინა თამაშების ჩემპიონი 10 ათას მეტრზე რბენაში ემილ ზატოპეკი, რომელმაც შეთხელებული თმის მიუხედავად, სამი ოქროს მედალი მოიგო — იგი პირველი იყო 5 და 10 ათას მეტრზე და მარათონში.

რაც შეეხება შეთხელებულ თმას, ჩეხი სტაიერი ერთადერთი სულაც არ ყოფილა: ასეთივე შეთხელებული თმით გახდა ოლიმპიური ჩემპიონი ანტიკურ ჭიდაობაში ესტონელი სუპერმძიმეწონოსანი იოჰანეს კოტკასი, რომლის ოქროს მედალი მთავარმა ოლიმპიურმა სტატისტიკოსებმა ერიხ კამპერმა და ბილ მელონმა საბჭოთა კავშირს კი არა, ესტონეთს მიაწერეს.

შეთხელებული თმის მიუხედავად, ოლიმპიური ჩემპიონი გახდა აგრეთვე ცნობილი ქართველი ფალავანი — ამ ჩვენი წიგნის მთავარი გმირი.

* * *

„დავიბადე 1925 წლის 29 მარტს ფოთში და ხუთ წლამდე იქ ვცხოვრობდით. ბავშვობიდან მეზღვაურობასა და მოგზაურობაზე ვოცნებობდი, მაგრამ მალარია შემეყარა და ეს ოცნება აუხდენელი დამრჩა. ბავშვობაში ნადირობა მიტაცებდა. ფოთში მონადირეთა მაღაზიაში ხშირად შევდიოდი და ცხოველების ფიტულების ცქერით ვტკბებოდი. განსაკუთრებით ტახის თავის ფიტული მომწონდა, რომელსაც უზარმაზარი ეშვები ჰქონდა. როცა სახლში მისვლა შემაგვიანდებოდა, მშობლები სწორედ მონადირეთა მაღაზიაში მეძებდნენ“.

მეზღვაურობისა და ცხოველთა ფიტულების გარდა პატარა ამურას ფეხბურთიც იზიდავდა. საათობით ადევნებდა თვალს ბორის პაიჭაძეს, მიხეილ ბერძენიშვილს, გრიგოლ გაგუასა თუ სხვებს, როცა მისი სახლის გვერდით მდებარე მოედანზე თამაშობდნენ ფეხბურთს. ვინ იცის, რამდენჯერ მიურბენინებია მათთვის აუტში გადავარდნილი ბურთი.

მერე ციმაკურიძეები თბილისში გადმოვიდნენ საცხოვრებლად და მთაწმინდაზე დაიდეს ბინა. მოლოდინის საწინააღმდეგოდ, დავითი თავიდან მამის კვალს არ გაჰყოლია. იზრდებოდა ისე, როგორც 30-იანი წლების თბილისელი ბიჭები იზრდებოდნენ. თუმცა თავისი სპორტული აზარტითა და დაუდგრომელი ხასიათით იგი თანატოლებშიც გამოირჩეოდა. მტკვარში ზაჰესთან ჩასული სადღაც აბანოთუბანში ამთავრებდა მარათონულ საცურაო მარშრუტს. რაც შეეხება ველოსპორტს, მისი ტრასა იყო თბილისი-მცხეთა-თბილისი. ფოთში პირველი თაობის სახელოვან ქართველ ფეხბურთელთა თამაშის მნახველი, თბილისში არც ფეხბურთს განდგომია — მარცხენა გარემარბად თამაშობდა

ცოტაც და დავით ციმაკურიძე წმინდა გამარჯვებას მოიპოვებს

გივი კარტოზია, ვახტანგ ბალავაძე, ნოდარ გვახარია, ბორის ნიკიტინი და დავით ციმაკურიძე



ჭიდაობენ გივი კარტოზია
და დავით ციმაკურიძე

სპორტსაზოგადოება
„ისკრას“ საკავშირო
ნაკრები.
მარჯვნიდან მეხუთე —
დავით ციმაკურიძე.
1949 წელი

თბილისის განათლების განყოფილების საფეხბურთო გუნდში, რომელსაც „აი-სი“ ერქვა. ტანვარჯიშში კი სულაც პირველ თანრიგს მიაღწია.

„თბილისის პირველ საშუალო სკოლაში ვსწავლობდი და სპორტის რამდენიმე სახეობაში მოვსინჯე ძალა. ჯერ ფეხბურთზე დავდიოდი, მერე კრივზე. კრივს მანამ არ მოვეშვი, სანამ ცხვირი არ გამიტეხეს. ცხრა წლისა სკოლის ტანვარჯიშის სექციაში მივედი არჩილ ბაქრაძეთან. მალე უკვე ოსტატობისთვის ვემზადებოდი, მაგრამ ასაკთან ერთად წონაც მომემატა და ორჯერ ღერძიდან მოვწყდი. მწვრთნელმაც ალალად მირჩია, უკეთესი იქნება, თუ მამაშენის გზას აირჩევ, იქაურ წარმატებაში აქ მიღებული გამოცდილებაც დაგეხმარებაო. მეც დავუჯერე, თუმცა მცირე საჭიდაო გამოცდილება ჭიდაობაზე შესვლამდეც მქონდა მიღებული“.

* * *

სულ ჰელსინკიში საქართველოდან 12 სპორტსმენი გაემგზავრა. დავით ციმაკურიძის გარდა, ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ ტანმოვარჯიშე მედეა ჯუღელი და ძალოსანი რაფიელ ჩიმიშკიანი. მედეა ჯუღელმა ერთი ვერცხლის მედალიც დაიმსახურა. ვერცხლის მედლები მოიპოვეს აგრეთვე ლევან სანაძემ სპრინტერულ ესტაფეტაში და ოთარ ქორქიამ და ნოდარ ჯორჯიკიამ კალათბურთში. დისკობოლმა ნინო დუმბაძემ და მორბენალმა ნადეჟდა ხნიკინადვალიშვილმა მესამე ადგილები დაიკავეს. მათთან ერთად ჰელსინკიში ასპარეზობდა საქართველოს კიდევ ხუთი წარმომადგენელი: მოფარიკავე აკაკი მეიფარიანი, ფეხბურთელები ავთანდილ ღოღობერიძე და ავთანდილ ჭკუასელი, მოცურავე ვლადიმერ ლავრინენკო და ველოსიპედისტი ოთარ დადუნაშვილი.

ამათ გარდა თამაშებში მონაწილეობდა კიდევ სამი ქართველი, რომლებიც საბჭოთა ნაკრებში მოსკოვს წარმოადგენდნენ. მძიმეწონოსანი არსენ მეკოკიშვილი, ზემოთ უკვე ითქვა, ოლიმპიური ჩემპიონი გახდა თავისუფალ ჭიდაობაში, ქვემძიმეწონოსანმა შალვა ჩიხლაძემ ვერცხლი მოიპოვა ანტიკურში, ხოლო წყალბურთელი პეტრე მშვენიერაძე უმედლოდ დარჩა.

ჰელსინკის თამაშების ჭეშმარიტ გმირად ემილ ზატოპეკთან ერთად რუსი ტანმოვარჯიშე ვიქტორ ჩუკარინი იქცა. მან თამაშებზე ყველაზე მეტი — ექვსი ოლიმპიური მედალი მოიგო, ოთხი ოქროსი და ორი ვერცხლისა.

არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში (პირველი ექვსი ადგილის ქულებზე გადაანგარიშებით) პირველ-მეორე ადგილები ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და საბჭოთა კავშირმა გაიყვეს — თითოეულმა 494 ქულა მოაგროვა. მედლების რაოდენობით კი, სტალინის დავალებისა და საბჭოთა ფუნქციონერთა წინასწარი გეგმის მიუხედავად, პირველ ადგილზე მყარად დადგა აშშ. მესამე ადგილზე უნგრელები გავიდნენ.

შეიძლება ითქვას, რომ ჰელსინკიში თუმცა შეზღუდულად — საბჭოთა გუნდის შემადგენლობაში, მაგრამ შედგა საქართველოს ოლიმპიური დებიუტი და იგი საკმაოდ წარმატებული გამოდგა, მით უმეტეს, გვიანდელი გადასახედიდან, როცა დამოუკიდებელმა საქართველომ თავისი პირველი ორი ოლიმპიადა ისე მოიტოვა უკან, რომ ბრინჯაოს მედლებს ვერ გასცდა.

* * *

ჰელსინკის თამაშები დავით ციმაკურიძისთვის ცუდად დაიწყო.

„პირველად შვედ ლინდბლადს შევხვდი. ამ დროს წონა ახალდაკლებული მქონდა, ამ პროცედურის მერე კი ჭიდაობა ყოველთვის მიჭირდა“...

ოლიმპიური დოსიე. ბენგტ ლინდბლანდი (შვედეთი).

დაიბადა 1925 წლის 26 აგვისტოს. ორჯერ მონაწილეობდა ოლიმპიურ თამაშებში — 1952 და 1956 წლებში. ჰელსინკიში პირველსავე ტურში ქულებით დაამარცხა თავისი თანატოლი დავით ციმაკურიძე; მეორე ტურში ასევე ქულებით დამარცხდა 33 წლის სახელოვან უნგრელთან დიორდ გურიჩთან და თუმცა მესამე ტურში ქულებით დაამარცხა ახალგაზრდა ამერიკელი დან ჰოჯი, საბოლოოდ ფინალს მიღმა აღმოჩნდა. წარუმატებელი აღმოჩნდა მისი გამოსვლა ოთხი წლის შემდეგაც.

თანამედროვეები იხსენებენ, რომ ეს ლინგბლადი დიდი ვერაფერი მოჭიდავე ყოფილა, მაგრამ სწორედ ასეთ „ვერაფერ მოჭიდავეებთან“ განსაკუთრებით ძნელია ბრძოლა.

როგორც ჭიდაობის შესანიშნავი მცოდნე ნოდარ გუგუშვილი წერდა, „ასეთებს ძალა მუდამ სამყოფი აქვთ, მიხლა-მოხლა კი სხვებზე მეტად ემარჯვებათ. კრიტიკულ მომენტში ხალიჩიდან უსირცხვილოდ გარბიან, ხოლო როცა მეტოქე წამით ძალებს იკრებს, ლომად იქცევიან, ოღონდ მანამდე, სანამ

ხალიჩიდან გაქცევის დრო ხელახლა დადგება. ეს რომ არ მოხდეს, მსაჯი უნდა იყოს ყურადღებით, უნდა შეძლოს განსაზღვროს, ვინ იბრძვის და ვინ გაურბის ბრძოლას. დავითს დიდი იმედი ჰქონდა, რომ შვედი მოჭიდავის ფაცა-ფუცი მსაჯებს ვერ გააცურებდა, მაგრამ არბიტრმა ვერაფერი დაინახა სათაკილო"...

ეს შეხვედრა წასაგები არ იყო, მაგრამ ქართველმა ფალავანმა ვერ იქნა და ვერ მოიხელთა შვედი, რომელიც კი არ ჭიდაობდა, მხოლოდ ჭიდაობის იმიტაციას ქმნიდა და პირველი შესაძლებლობისთანავე ხალიჩიდან გარბოდა. ჩანს, იგი კარგად იყო დაუფლებული მსახიობის ხელოვნებას და მსაჯებიც დააჯერა თავის ვითომ აქტიურობაში.

პირველი 6 წუთის განმავლობაში ვერც ერთმა მოჭიდავემ ვერ მოახერხა შესამჩნევი უპირატესობის მოპოვება. ჩოქბჯენში კენჭისყრით პირველად ზემოდან ქართველი ფალავანი მოხვდა. იგი ბევრს ეცადა, ფანდი ჩაეტარებინა, მაგრამ ამაოდ — შვედი ან ხალიჩაზე იყო პირქვე გართხმული, ან თავგამოდებით მიფორთხავდა ხალიჩის გარეთ. 3 წუთის შემდეგ მეტოქეებმა პოზიციები გაცვალეს და ზემოდან ლინდბლადი მოექცა, მაგრამ მან ძვრაც ვერ უყო ციმაკურიძეს და მოწინააღმდეგეებმა კვლავ დგომში გააგრძელეს ჭიდაობა. ეს ბოლო 3 წუთი ციმაკურიძის უპირატესობითა და აქტივობით მიმდინარეობდა, მაგრამ ამ უპირატესობამ ქულებში ვერ პოვა ასახვა და ყველაფერი მსაჯთა გადასაწყვეტი შეიქნა.

ნორვეგიელმა და ფრანგმა გამარჯვება შვედს მიაკუთვნეს, თურქმა მსაჯმა კი — ციმაკურიძეს, რომელსაც ამ წაგების გამო სამი საჯარიმო ქულა დაერიცხა.

„წესით, მე უნდა მომეგო, მაგრამ მსაჯთა აზრები გაიყო და ორის გადაწყვეტილებით გამარჯვება მეტოქეს მიანიჭეს. ჩვენებმა მაშინვე გააპროტესტეს და ამისთვის საჭირო 5000 ფინური მარკაც შეიტანეს, მაგრამ სანამ კომისია ამ საკითხზე იმსჯელებდა, მე მორიგი შეხვედრების ჩატარება მომიხდა"...

ციმაკურიძეს პირველსავე ტურში სამი საჯარიმო ქულა დაუგროვდა. მომდევნო შეხვედრების მხოლოდ მოგება საკმარისი აღარ იყო, წმინდა მოგებები სჭირდებოდა.

მარცხი იმდენად მოულოდნელი იყო, რომ საბჭოთა გუნდის ყველა წევრს — მოჭიდავეებსაც, მწვრთნელებსაც და ხელმძღვანელებსაც ენა ჩაუვარდათ. ალექსანდრ სენატოროვსა და ვახტანგ კუხიანიძეს არაფერი უთქვამთ. მხო-

ლოდ არსენ მეკოკიშვილს მოუძებნია რამდენიმე მამაშვილური, სანუგეშო სიტყვა.

ბევრი დავითის ადგილზე ალბათ ხელს ჩაიქნევდა, მაგრამ ის ციმაკურიძეთა ცომისგან იყო მოზელილი და არსენ მეკოკიშვილს სანუგეშო სიტყვებზე, ყურები არ ჩამოყარო, ბიჭოო, იქით ამშვიდებდა, ნუ დარდობ, არსენ, მაინც ჩემპიონი გავხდებიო!

ეს მისთვის სასტარტო შეხვედრის წაგების პირველი შემთხვევა არ ყოფილა. წონადაკლებულს პირველ ბრძოლაში მართლა მუდამ უჭირდა, მაგრამ მერე აზარტში შედიოდა და საბოლოოდ, იმარჯვებდა ხოლმე. ასეთი რამ რამდენჯერმე მომხდარა საკავშირო პირველობებზე. ოფიციალურ და საერთაშორისო დონეზე წაგებული რამდენიმე შეხვედრაც ძირითადად სწორედ პირველი ორთაბრძოლები იყო.

ერთხელ, ციმაკურიძე უკვე ოლიმპიური ჩემპიონი იყო, იორდანიშვილისთვის უკითხავთ, როგორი ჭიდაობა იცოდა ყმაწვილკაცობაში ამურამო.

გამოცდილი მწვრთნელი შესაფერისი სიტყვის ძებნაში ჩაფიქრებულა, შემდეგ კი მისთვის ჩვეული სიდინჯით უთქვამს:

— დიდებული და ფათერაკიანი. ძნელად ვიხსენებ შეჯიბრებას, რომელშიც დავითს რაიმე დიდი საზრუნავი თუ თავსატეხი არ გაეჩინოს თავისთვისაც და ჩემთვისაც. სტარტზე შეეძლო წაეგო უცნობ, დამწყებ მოჭიდავესთან. იქმნებოდა ისეთი სიტუაცია, როდესაც დარჩენილი ექვსი შეხვედრიდან მხოლოდ ექვს წმინდა მოგებას შეეძლო ოქროს მედლის მოტანა და... გაბრაზებული დავითი ექვსივე მეტოქეს ბეჭებზე აკრავდა.

ხიფათიანი ფალავნის სახელს დავითმა ოლიმპიადაზეც არ უღალატა.

ლინდბლანდთან მარცხის შემდეგ ციმაკურიძემ ახალი გეგმა შეიმუშავა და თავს შთააგონა, რომ, სულ ცოტა, ორი მომდევნო შეხვედრა წმინდად უნდა მოეგო.

* * *

დავით ციმაკურიძე ფოთში დაიბადა, თბილისში ცხოვრობდა, მაგრამ ჭიდაობა ზესტაფონში დაიწყო. მართალია, ბავშვობაში და თამაშ-თამაშ, მაგრამ პირველი ორთაბრძოლები მასაც მიშიკო მაჩაბლის ფსევდონიმით მოუგია.

„12 წლის ვიყავი, როცა მამა ზესტაფონში გადაიყვანეს სამუშაოდ და ბინაც მისცეს. სწორედ იქ დავიწყე ჭიდაობა. თანატოლებთან ერთად სპეციალური მოედანიც კი გავაკეთე, მამას ნახერხი მოვატანინე, დავყარეთ და თითქმის სულ იქ ვიყავით. ყველას დიდი ფალავნების სახელები გვერქვა. ზოგი სანდრო კანდელაკი იყო, ზოგი ნესტორ ესებუა, კოსტა მაისურაძე და ასე შემდეგ. მე, რა თქმა უნდა, მიშიკო მაჩაბელი შევარჩიე.

ორ წელიწადში ისევ თბილისში დავბრუნდით და დიდ ჭიდაობაშიც შევაბიჯე. მაშინდელ ორჯონიკიძის ქუჩაზე, მოჭიდავეების სამჭედლოდ წოდებულ პეტრე იორდანიშვილის დარბაზში დავიწყე ვარჯიში კლასიკურ ჭიდაობაში. თავისუფალი ჯერ საერთოდ არ იყო შემოსული“.

ქართველ ფალავანთა არაერთი თაობის აღმზრდელს პეტრე იორდანიშვილს, რომელიც, სხვათა შორის, თავისივე სახელობის დარბაზის გვერდით მდებარე ერთ პატარა ოთახში ცხოვრობდა ოჯახთან ერთად, ბევრი ლაპარაკი არ ჰყვარებია. ყმაწვილი მოეწონა და პირდაპირ საქმეს შეუდგა. ასე ჩაეყარა საფუძველი ორი განსხვავებული ხასიათის, მაგრამ ერთნაირად მოაზროვნე ადამიანის მრავალწლიან მეგობრობას. იორდანიშვილი კლასიკური ჭიდაობის სპეციალისტი იყო და თავის შეგირდს, ბუნებრივია, პირველ ყოვლისა, ამ ჭიდაობის ანბანი შეასწავლა. სახელგანთქმულ ქართველ მოჭიდავეს, ოლიმპიურ და მსოფლიო ჩემპიონს გივი კარტოზიას არაერთხელ უთქვამს, რომ ნებისმიერი სტილის მოჭიდავე, თუ იგი დიდ სპორტში ადგილის დამკვიდრებას ესწრაფვის, კლასიკური ჭიდაობის ილეთებს ხუთი თითივით უნდა ფლობდესო. ამ ჭიდაობის ცოდნა დავით ციმაკურიძეს დიდად გამოადგება მომავალში.

დასაწყისი კი არცთუ საამაყო იყო:

პირველ სამ შერკინებაში მასავით ახალბედებთან წმინდად დამარცხდა. სამივე იმ ორთაბრძოლას სახელგანთქმული ფალავანი ირაკლი ყიფიანი მსაჯობდა. პატარა ამურას რამდენიმე დღე საერთოდ აღარ უნდოდა საჭიდაო დარბაზისკენ გახედვა. მერე ირაკლი ყიფიანმა მოაკითხა და გაახელა, როგორ, ნუთუ მამაშენის შვილი იმ ღლაპებს შენთან მოგებას შეარჩენო. ისევ მივიდა საჭიდაო დარბაზში. მივიდა და მივიდა.

13 წლისა თბილისის ჩემპიონი გახდა, შემდეგ კი თანატოლთა შორის საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა. მამამისს, მანამდე სხვათა შორის რომ უყუ-

რებდა შვილის სპორტულ გატაცებებს, პირველად მისი ჭიდაობა სწორედ იმ ჩემპიონატის ფინალში უნახავს და თვალზე ცრემლი მოსდგომია.

მერე მოულოდნელად ომი გაჩაღდა და 16 წლის ჭაბუკმა სამხედრო ჰოსპიტალში დაიწყო მუშაობა, თუმცა მაინც პოულობდა დროს და ყოველდღე ვარჯიშობდა ჭიდაობაში.

სერიოზულ გამარჯვებას გემო პირველად 1942 წელს გაუსინჯა.

იმ წლის შემოდგომაზე ბათუმში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში. ომის მიუხედავად, ეს იყო ერთობ სერიოზული ტურნირი, რომელშიც რესპუბლიკის წარმომადგენლებთან ერთად გამოდიოდნენ ბათუმის ნავსადგურში მდგარი გემების მეზღვაურებიც. ციმაკურიძემ ყველა შეხვედრა მოიგო და პირველი ადგილი დაიკავა.

მას მერე დავით ციმაკურიძე კიდევ 13-ჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონი კლასიკურ თუ თავისუფალ ჭიდაობაში.

1943 წელს პროფკავშირების პირველობა მოიგო. 1944 წელს უკვე გათავისუფლებულ კიევში ჩატარებულ წარმომადგენლობით ტურნირში ხუთ უძლიერეს მოჭიდავეს შორის აღმოჩნდა.

ეს ყველაფერი — ანტიკურ ჭიდაობაში, რომელსაც მაშინ კლასიკური ჭიდაობა ერქვა.

1945 წელს კი პირველად გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. უკვე — თავისუფალში.

ომი დასასრულს უახლოვდებოდა. საბჭოთა კავშირი ამერიკული საქონლით აივსო. სურსათი, პირველადი მოხმარების საქონელი, ავტომანქანები... თითქოს ამ პროგრამის ფარგლებში, საქართველოში თავისუფალი ჭიდაობაც შემოვიდა, რომელსაც თავიდან „ამერიკულ ჭიდაობას“ ეძახდნენ. ჭიდაობის ეს სახე გაცილებით ახლოს იყო ქართულ ჭიდაობასთან და დავით ციმაკურიძემაც და ბევრმა სხვამაც კლასიკურს სწორედ ის ამჯობინეს.

„ბათუმური ჩემპიონობის შემდეგ კლასიკურში საქართველოს პირველობა კიდევ რვაჯერ მოვიგე, თუმცა მთავარი გამარჯვება მაინც თავისუფალ ჭიდაობაში მოვიპოვე. იგი 1945 წელს შემოვიდა საქართველოში, მაშინვე გადავერთე და სულ მცირე ხანში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზეც წავედი ლენინგრადში“.

1945 წლის ოქტომბერში ლენინგრადში გამართული მოჭიდავეთა საკავშირო ჩემპიონატი პირველი ოფიციალური შეჯიბრება გახლდათ თავისუფალ ჭიდაობაში.

ომი ახალი დამთავრებული იყო და ქვეყანაში მგზავრობა დიდ სირთულეს წარმოადგენდა, ამიტომ ნაომარ ლენინგრადში ჩატარებული ის ჩემპიონატი მონაწილეთა სიმრავლით მაინცდამაინც არ გამოირჩეოდა. თბილისიდან ლენინგრადს ცხრა ფალავანი გაემგზავრა. მათ შორის იყო დავით ციმაკურიძეც, რომელსაც თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობებს შორის საბოლოო არჩევანი ჯერ არ გაეკეთებინა.

ის ისტორიული ჩემპიონატი საქართველოს წარმომადგენელთა სრული ტრიუმფით დასრულდა.

საბჭოთა კავშირის პირველი ქართველი ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში ნახევრადმსუბუქი წონის ფალავანი ვასილ ილურიძე გახდა.

მჩატე წონაში თბილისელმა ლეონიდ ძეკონსკიმ მეოთხე ადგილი დაიკავა. იგი 1935 და 1936 წლებში ქვეყნის ჩემპიონი იყო კლასიკურ ჭიდაობაში.

კალე შეყრილაძე მეხუთე იყო მსუბუქ წონაში.

ასეთივე შედეგი აჩვენა ვახტანგ კუხიანიძემ ნახევრადსაშუალო წონის მოჭიდავეთა შორის.

სამ დანარჩენ წონაში კი — საშუალოში, ნახევრადმძიმესა და მძიმეში საქართველოს წარგზავნილები ჩემპიონები გახდნენ: ციმაკურიძემ, მაჩკალიანმა და მეკოკიშვილმა არც ერთ მეტოქეს შანსი არ დაუტოვეს. საშუალო წონაში დავით ციმაკურიძის გარდა კიდევ ორი თბილისელი გამოდიოდა: შოთა ესებუამ მეორე ადგილი დაიკავა, ივანე ალიხანოვმა კი — მეექვსე.

სხვათა შორის, ეს შოთა ესებუა სახელოვანი ქართველი ფალავნის ნესტორ ესებუას ვაჟი იყო.

საინტერესო ფაქტია, რომ ძველ ფალავნებს ნესტორ ესებუასა და მიშიკო მაჩაბელს არასოდეს უჭიდავიათ ერთმანეთთან, მათი შვილები კი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ფინალში შეხვდნენ ჭიდაობის ახალ სახეობაში.

„ფინალში სახელგანთქმული ფალავნის ნესტორ ესაბუას ვაჟს ვეჭიდავე. თუ სუფთად მოვუგებდი, მესამე ადგილზე გავიდოდა, ქულებით ნაგების შემთხვევაში კი მეორე ადგილს დაიკავებდა და ჯილდოდ 4 ათას მანეთს მისცემდნენ. მე, როგორც ქართველმა, გადავწყვიტე, თანამემამულე სუფთად არ დამემარცხებინა, ქულებით მოვუგე და მეორეზე გავიდა. მე კი ჩემპიონობისთვის 6 ათასი მანეთი მივიღე“.

მანამდე კი, 1946 წელს დავით ციმაკურიძე მეორედ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. ის ტურნირი თბილისის ცირკში გაიმართა და არნახული ინ-

ტერესი გამოიწვია. პირველად ალბათ სწორედ მაშინ გაჩნდა თბილისში ჩატარებულ სპორტულ ასპარეზობაზე ბილეთის პრობლემა. ნახევარფინალში ციმაკურიძემ დაამარცხა თავისი მთავარი მეტოქე — მოსკოველი ციურინი, მერე კი ფინალში იოლად მოუგო როსტოველ ლევონ ხანტემურიანსაც (ხანტემიროვსაც). ამის შემდეგ ციმაკურიძესთან შესახვედრად ყველა საგანგებოდ ემზადებოდა.

ციმაკურიძეს არც 1947 წელს ტალინში ჩატარებულ საკავშირო ჩემპიონატში ჰყავდა ბადალი. თუმცა მის წინააღმდეგ ყველა მეტოქე და მათი მწვრთნელები საგანგებოდ მოემზადნენ, მაინც ვერაფერს გახდნენ. ტრადიციულ მეტოქეებთან ერთად მას ამჯერად კიდევ ერთი მრისხანე მოწინააღმდეგეც ჰყავდა კლასიკურ ჭიდაობაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ნიკოლაი ბელოვის სახით. სხვათა შორის, იმავე წელს ბელოვი ევროპის ჩემპიონი გახდება კლასიკურ ჭიდაობაში. მაგრამ დავითის გამარჯვებები იმდენად შთამბეჭდავი იყო, იმდენად დამაჯერებელი ჩანდა იგი თავისი ძალითაც, ტექნიკურ-ტაქტიკური ოსტატობითაც, შესაშური მიზანსწრაფვითაც და აგრესიულობითაც, რომ მოხდა უიშვიათესი რამ — საღ-სალამათმა ბელოვმა უარი თქვა ციმაკურიძესთან ფინალურ ორთაბრძოლაზე და დავითი მესამედ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი.

* * *

ამურ ციმაკურიძის მეორე მოწინააღმდეგე ჰელსინკიში 20 წლის ამერიკელი დან ჰოჯი იყო — ფიზიკურად მეტისმეტად ძლიერი, გაბედული და ამტანი მოჭიდავე. იგი ისე ეკვეთა დავითს, თითქოს წმინდა გამარჯვება სწორედ მას სჭირდებოდა და ციმაკურიძე პირველსავე წუთზე ჩოქბჯენში ჩააყენა. დავითი მაშინვე მიხვდა, რომ ამჯერად ნამდვილი ჭიდაობა გაჩაღდებოდა და თავადაც უკანმოუხედავად გადაეშვა ბრძოლაში. მან არაერთხელ გარისკა, მაგრამ ბევრს ვერაფერს გამორჩა და მალე ამერიკელი ხუთი ქულით დაწინაურდა. ციმაკურიძის ზოგიერთმა თანაგუნდელმა ხალიჩას ლამის ზურგი შეაქცია — იგი ყველას განწირული ეგონა. ასეთი სიტუაციის შემოტრიალება ოლიმპიურ დონეზე არარეალური ჩანდა. ალბათ ასე იფიქრა ამერიკელმაც, ერთხანს ორთაბრძოლის ვადამდე დამთავრებაც მოინდომა და სწორედ აქ შეცდა:



ვახტანგ ბალავაძე,
გივი კარტოზია
და დავით ციმაკურიძე



დგანან —
გიორგი როსტიაშვილი,
როსტომ აბაშიძე,
ვასილ ილურიძე,
შოთა ლომიძე,
ზურაბ მაჩხანელი;
სხედან —
შალვა ჩიხლაძე,
დავით ციმაკურიძე
და ანზორ კიკნაძე

„სხვაობა ამერიკელის სასარგებლოდ უკვე დიდი იყო, მაგრამ არ ვჩქარობდი. მე წმინდა გამარჯვება მჭირდებოდა, საამისოდ კი დრო ბევრი მქონდა და ვგრძნობდი, რომ აზარტში შესულ ამერიკელს შეცდომაზე უეჭველად დავიჭერდი“...

ოლიმპიური დოსიე. დან ჰოჯი (აშშ).

დაიბადა 1932 წლის 13 მაისს. ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობდა ორჯერ — 1952 და 1956 წლებში. ჰელსინკის ოლიმპიური ტურნირის პირველ ტურში ქულებით დაამარცხა ეგვიპტელი ჰუსეინი, შემდეგ წმინდად დამარცხდა დავით ციმაკურიძესთან და ბოლოს ქულებით წააგო ლინდბლადთან, რამაც წერტილი დაუსვა მის ჰელსინკურ კარიერას. მელბურნში ზედიზედ მოიგო ოთხი ორთაბრძოლა, 11 წუთში წმინდად დამარცხდა მომავალ ოლიმპიურ ჩემპიონ ბულგარელ ნიკოლა ნიკოლოვთან და ბოლოს ვერცხლის მედლისათვის გამართულ ბრძოლაში თავის მხრივ, ასევე 11 წუთში წმინდად დაამარცხა გიორგი სხირტლაძე.

ჰოჯისათვის საბედისწერო ილეთის სამზადისი ციმაკურიძემ, თუ შეიძლება ასე ითქვას, შორიდან დაიწყო. ჯერ სასხვათაშორისოდ, ზანტი მოძრაობით დაუჭირა ორივე ხელი, მერე, თითქოს არ იცოდა რა გაეკეთებინა, ტანსაც გადასწვდა, მეტოქეს ფეხებზე შემოეხვია და სარმა გამოჰკრა. ჰოჯმა სულ ბოლო მომენტშიღა იგრძნო, რომ შებორკილიც იყო და საყრდენიც დაეკარგა, მაგრამ ვეღარაფერი გააწყო და ხალიჩაზე ზურგით გაიდღლაშა, როგორც იტყოდა აკაკი წერეთელი.

მე-6 წუთის დამთავრებას ორი წამი აკლდა.

„სწორედ ჰოჯთან გამომადგა ქართული ჭიდაობის ბრწყინვალე ილეთები. კარგა გვარიანად ვაგებდი, როცა პარტერში ფეხი ჩავუხვიე — შუაკაური გავუკეთე და ბეჭებზე დავაგდე. როგორც ზვიადაურმა მოიგო, ზუსტად ისეთი ილეთით გავიმარჯვე, ოღონდ მე ეს პარტერიდან გავაკეთე. ჰოჯი მიხვდა, რომ ვეღარაფერს გახდებოდა და სახეში მთელი ძალით ჩამარტყა. ალბათ უნდოდა გამოვეწვიე. უხეშობითვე რომ მეპასუხა, მაშინვე მომხსნიდნენ. ამიტომ ხელი ცხვირ-პირზე დავაფარე და ჩემს ხელს ვაკოცე. მსაჯმაც მალევე მისცა სასტვენი და სუფთა მოგება ჩამითვალა. მოგვიანებით ეს ჰოჯი კრივში გადასულა, დიდ რინგზე „ოქროს ხელთათმანიც“ კი მოუგია და ამისთვის 100 ათასი დოლარიც მიუციათ“.

შემდეგი მოწინააღმდეგე — ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი, ეგვიპტელი მოჰამედ ჰუსეინი უფრო ფრთხილად და დაკვირვებულად ჭიდაობდა, ამერიკელთან შედარებით მშვიდობიანად იყო განწყობილი და გართულებებს ერიდებოდა. გართულებები ქართველ ფალავანს არც დასჭირვებია.

ოლიმპიური დოსიე. მოჰამედ აბდუ ჰუსეინი (ეგვიპტე).

დაიბადა 1928 წლის 5 დეკემბერს. ჰელსინკის თამაშები მისი ერთადერთი ოლიმპიადა იყო. პირველ ტურში ცხრა წუთში წმინდად წააგო ჰოჯთან, მეორე ტურში ქულებით დაამარცხა 37 წლის ფრანგი ანდრე ბრუნო და მისთვის ბოლო შეხვედრაში 4 წუთსა და 55 წამში წმინდად დამარცხდა ციმაკურიძესთან.

ქართველმა ფალავანმა პირველსავე შეცდომაზე დაიჭირა ეგვიპტელი და ჩოქბჯენში გადაიყვანა. დანარჩენი, როგორც იტყვიან, ტექნიკისა და დროის საქმე იყო. ციმაკურიძემ „უღლურით“ გადაატრიალა ჰუსეინი და ბეჭებზე დააწვინა.

ამ მოგების შემდეგ, დავით ციმაკურიძე საუკეთესოთა სამეულში შევიდა და ბრინჯაოს მედალიც გაინაღდა, მაგრამ იგი ჩემპიონობას ესწრაფოდა.

ამასობაში საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელებმა პროტესტი და ფული უკან გამოიტანეს, რადგან ლინდბლადი გავარდა და იმ პირველი ორთაბრძოლის შედეგს არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა.

ახალი სტრატეგიული გეგმა დავითმა ბრყინვალედ განახორციელა და მომდევნო ორთაბრძოლის მოგება უკვე ქულებითაც შეიძლებოდა.

* * *

1947 წელს თავისუფალ ჭიდაობაში საკავშირო ჩემპიონატის მოგების შემდეგ დავით ციმაკურიძემ კლასიკურ ჭიდაობაშიც სცადა ძალა და საბჭოთა კავშირის ვიცე-ჩემპიონი გახდა. არადა, ეს ჩემპიონატიც რომ მოეგო, ევროპის პირველობაზე სწორედ ის წავიდოდა.

იმ წელიწადს საბჭოთა მოჭიდავეებმა პირველად მოსინჯეს ძალები ევროპულ სარბიელზე — მათ მონაწილეობა მიიღეს პრაღაში გამართულ ევროპის პირველობაში კლასიკური სტილის მოჭიდავეთა შორის. საბჭოთა სპორტსმენთა ის ოფიციალური დებიუტი წარმატებული აღმოჩნდა: ევროპის ჩემპიონები

გახდნენ ნიკოლაი ბელოვი (საშუალო წონა), კონსტანტინე კობერიძე (ნახევრადმძიმე) და იოჰანეს კოტკასი (მძიმე).

ევროპაზე გამოსვლა არ მოუხდა, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი კი დავით ციმაკურიძემ კიდევ ოთხჯერ მოიგო და თავისი შვიდგზის ჩემპიონობით საბჭოთა თავისუფალი ჭიდაობის ისტორიაში მხოლოდ არსენ მეკოკიშვილს, ალი ალიევსა (ისინი სსრკ 9-9-გზის ჩემპიონები არიან) და ალექსანდრ მედვედს (8-გზის) ჩამორჩება.

1948 წელი კი როგორღაც ჩაუვარდა; წინა და მომდევნო წლებთან შედარებით, რა თქმა უნდა: იგი კვლავ ჭიდაობის ორივე სახეობაში გამოვიდა და თავისუფალში მხოლოდ მე-3 ადგილი დაიკავა, კლასიკურში კი ისევ ვერცხლის მედალი ხვდა წილად.

შეიძლება ითქვას, რომ ომისწინა და ომისდროინდელი საბჭოთა სპორტსმენების თაობა ერთგვარი უნივერსალების თაობა იყო. ამ მხრივ განსაკუთრებულად გამორჩეული გახლდათ კიეველი ალექსანდრ კანაკი, რომელიც საბჭოთა კავშირის რეკორდსმენი იყო მძლეოსნობის ისეთ განსხვავებულ სახეობებში, როგორიცაა თარჯრბენი, ბირთვის კვრა, ათჭიდი და ურoს ტყორცნა. 1936 წელს მან ერთი საკავშირო რეკორდი ძალოსნობაშიც დაამყარა. ამავე დროს იგი შესანიშნავი სამბისტი და მოკრივეც იყო.

მოჭიდავეთა შორისაც იყვნენ უნივერსალები: იოჰანეს კოტკასი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი იყო ურoს ტყორცნაში; სერგეი პრეობრაჟენსკი კი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახლდათ ნიჩბოსნობაში.

უნივერსალი იყო დავით ციმაკურიძეც. გარდა იმისა, რომ იგი თანაბრად ძლიერი იყო თავისუფალ, კლასიკურ თუ ქართულ ჭიდაობაში, სერიოზული მიღწევები ჰქონდა ძალოსნობაშიც, იქამდე, რომ ძალოსნებმა გადაბირებაც დაუპირეს — საქართველოში კარგ მოჭიდავეებს რა გამოლევს, ძალოსნები კი არა გვყავსო. ციმაკურიძე საკავშირო პირველობის პრიზიორიც კი გახდა, როგორც ძალოსანი.

„ტანვარჯიში ჭიდაობის გარდა ერთადერთი სახეობა როდია, რომელშიც ძალა მიცდია. არაჩვეულებრივად ვცურავდი, ველოსპორტსაც მივდევდი, კრივსაც და ძალოსნობასაც. დიდ საჭიდაო წარმატებებში იქაური ვარჯიშებიც წამადგა. მიღწევები ჭიდაობის გარდა არსად მქონია, თუ არ ჩავთვლით ძალოსნობაში გაპრიზიორებას ლენინგრადში. პროფკავშირთა საკავშირო

პირველობაზე თბილისის გუნდს წარმოვადგენდი და ჭიდაობაში პირველობისკენაც მივდიოდი, მაგრამ უცებ გაირკვა, რომ ჩვენი მძიმეწონოსანი ძალოსანი ავად გამხდარიყო და მთხოვეს, მისი მაგივრობა გამეწია. მოჭიდავეთა და ძალოსანთა შეჯიბრება ერთ დიდ დარბაზში ტარდებოდა და აქეთ-იქით მიწევდა სირბილი. ხალიჩაზე რომ გავიმარჯვე, ფიცარნაგზე, თქვენ წარმოიდგინეთ, მესამე ადგილი დავიკავე. ხოლო გუნდურში თბილისის გუნდი მეორე საპრიზო ადგილზე გავიდა“.

1949 წელს დავით ციმაკურიძემ ქვეყნის ჩემპიონის ტიტულიც დაიბრუნა და საერთაშორისო ასპარეზზეც გავიდა.

1949 წელს გაიმართა საქართველოსა და ჩეხოსლოვაკიის მოჭიდავეთა ამხანაგური მატჩი. 7 წუთსა და 20 წამში ციმაკურიძემ ორივე ბეჭით მიაკრა ხალიჩას ცნობილი ჩეხი მოჭიდავე ზაბრონსკი. ქართველი ფალავნის საერთაშორისო დებიუტი წარმატებული გამოდგა. იმ დროს დავით ციმაკურიძე უკვე საბჭოთა მოჭიდავეთა ნაკრები გუნდის კაპიტანი იყო.

1950 წელს საბჭოთა ეს ნაკრები ფინეთს გაემგზავრა. ჰელსინკისა და ტამპერეში გამართულ მოჭიდავეთა სამატჩო შეხვედრებში ციმაკურიძე შეხვდა საშუალო წონის უძლიერეს ფინელ მოჭიდავეებს ლაპანაინენსა და ვაფალაინენს. ქართველმა ფალავანმა ორივე მათგანს წმინდად მოუგო და თითოეულის დასამარცხებლად 5 წუთიც არ დასჭირვებია.

იმავე 1950 წელს ტულაში გაიმართა თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა მორიგი საკავშირო პირველობა. ტურნირი, როგორც ეს ხშირად ხდებოდა, დავითმა დამარცხებით დაიწყო, მაგრამ შემდეგ კლასმა თავისი გაიტანა, მან ზედიზედ მოიგო ყველა დარჩენილი ორთაბრძოლა და ხუთი საჯარიმო ქულით ფინალში გავიდა ლენინგრადელ პრეობრაჟენკისთან (6 საჯარიმო ქულა) და როსტოველ ხანტემურიანთან (2 საჯარიმო ქულა) ერთად.

„იმ წელიწადს ყველანი საუცხოოდ ვიყავით მომზადებული. პირველი ხუთეულიდან ნებისმიერს შეეძლო ოქროს მედალი დაეჩემებინა: ლიოვა ხანტემურიანსაც, სერგეი პრეობრაჟენსკისაც, ნიკოლაი კომოვსაც, გიორგი როსტიაშვილსაც... ყველას დამარცხება შევძელი, მხოლოდ პრეობრაჟენსკისთან წავაგე ქულებით. და ისე მოხდა, რომ თუ ჩემპიონობა მსურდა, ფინალში ხანტემურიანი უნდა წამექცია სუფთაზე. ადვილი სათქმელია! ქვეყნის ოთხგზის ჩემპიონი კი ვიყავი, მაგრამ ხანტემურიანს საკავშირო პირველობების ორი

ვერცხლის მედალი ჰქონდა თავისუფალში და ერთიც ბრინჯაოსი კლასიკურში; ამასთან, მისთვის სუფთად არასოდეს მომეგო.“

არავინ იცის, სათვალავით მერამდენე იყო ციმაკურიძისა და ხანტემურიანის ის ორთაბრძოლა. მათი სულ პირველი შეხვედრა „წყალზე“ გაიმართა. 1942 წელს ფოთში შევიდა სახაზო გემი „პარიჟსკაია კომუნა“, რომელზეც ხანტემურიანი მუშაობდა. მან და ციმაკურიძემ გადაწყვიტეს, სამხედრო მეზღვაურებისათვის ჭიდაობა ეჩვენებინათ. ხალიჩა პირდაპირ გემბანზე გაშალეს. ორ წუთში ხანტემურიანმა ციმაკურიძე ხიდურზე გადაიყვანა და ცდილობდა ბეჭებზე დაეწვინა. 18 წუთს ეცადა. ამაოდ. ყველა სამხედრო მეზღვაური თავისიანს კი არა, „რკინის ხიდს“ ქომაგობდა.

„მაშინ ახალგაზრდები ვიყავით. ტულაში კი აი, რა მოხდა: ყველა სიჩქარე ჩავრთე, რაც კი შემეძლო. ხანტემურიანი დგას, ნამდვილი ლომივით დგას! ნეტავი გენახათ, როგორი იყო იმ ხანებში! ჰერკულესი გეგონებოდათ, ჰერკულესი!“

ამ ლომთან და ჰერკულესთან ბრძოლის მე-6 წუთისათვის ციმაკურიძე კრიტიკულ სიტუაციაში აღმოჩნდა: ხანტემურიანმა ორი მომგებიანი ქულა აართვა. მე-7 წუთის დასაწყისში ჩემპიონმა ისევ ის ილეთი წამოიწყო, რომელმაც წუთის წინ მის მეტოქეს ის მომგებიანი ქულები მოუტანა. ვინ იცის, იქნებ კიდეც მიხვდა გამოცდილი ხანტემურიანი, რომ ციმაკურიძე რაღაცას ეშმაკობდა და მახეს უგებდა, მაგრამ ცდუნება იმდენად დიდი იყო, რომ იგი დაჰყვა მეტოქის ნებას, იმავეს გაკეთება მოინდომა, მაგრამ ციმაკურიძემ ყველასთვის უცნობი ილეთი გამოიყენა, რომელიც მანამდე არასოდეს უხმარია და როსტოველი ფალავანი ბეჭებზე დასცა.

ტულაში დავით ციმაკურიძე მეხუთედ გახდა ქვეყნის ჩემპიონი.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება მან მომდევნო წელსაც მოიპოვა და იმის მომდევნო წელსაც.

საინტერესო სტატისტიკა: 1945 წლიდან 1965 წლამდე გამართულ 20 საკავშირო ჩემპიონატში პირველ საშუალო წონაში შვიდჯერ დავით ციმაკურიძე გახდა ჩემპიონი, ოთხჯერ გიორგი სხირტლაძე, ორჯერ ლენინგრადელი ანატოლი ალბული, თითოჯერ — როსტოველი გრიგორი ტკაჩენკო, კიეველი ნიკოლაი კომოვი, ტალინელი ენდელ საარი, ქუთაისელი გიორგი გობეჯიშვილი, ორჯონიკიძელი ტიმურ ძასოხოვი, მინსკელი ვლადიმირ ლეტუნი და თბილისელი შოთა

ლომიძე (ოთხმა ქართველმა 20 წლის განმავლობაში ამ წონაში გათამაშებული ოქროს მედლების 65 პროცენტი მოიგო!). მერე ამ წონაში ბორის გურევიჩის, იური შახმურადოვისა და ლევან თედიაშვილის დრო დადგა...

1951 წელს 26 წლის დავით ციმაკურიძეს საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის საპატიო წოდება მიენიჭა.

მერე იყო ოლიმპიური, 1952 წელი, რომელიც დავით ციმაკურიძემ ორი სერიოზული გამარჯვებით დაიწყო: ჯერ იყო და, მოსკოვში საბჭოთა კავშირ-ფინეთის საერთაშორისო შეხვედრაში ბეჭებზე დასცა ფინეთის ჩემპიონი ვეიკო ლაჰტი, ხოლო მერე ბუდაპეშტში გამართულ საბჭოთა კავშირ-უნგრეთ-გდრ-ის სტუდენტთა საერთაშორისო ამხანაგურ შეხვედრაში დაამარცხა როგორც გერმანელი, ისე უნგრელი მეტოქე. სხვათა შორის, უნგრეთის ღირსებას იმ ტურნირში საუკეთესო უნგრელი ფალავანი დიორდ გურიჩი იცავდა. 9 წლის შემდეგ იოკოჰამაში გურიჩი მსოფლიო ჩემპიონი გახდება, ბუდაპეშტის ორთაბრძოლიდან რამდენიმე თვის შემდეგ კი მას კვლავ მოუწევს შეხვედრა ციმაკურიძესთან, ამჯერად უკვე ჰელსინკიში...

* * *

„ფინალურ წრეში პირველად უნგრელ გურიჩს შევხვდი და ისე მოვუგე, მცირე შანსიც კი არ დავუტოვე. ჩოქბჯენში ჩემი საფირმოდ მონათლული ილეთი „ამურას ხერხი“ გავუკეთე“.

ოლიმპიური დოსიე. დიორდ გურიჩი (უნგრეთი).

დაიბადა 1929 წლის 27 იანვარს. მონაწილეობდა სამ ოლიმპიადაში — 1952, 1956 და 1960 წლებში. თავის ბოლო თამაშებში გამოვიდა როგორც თავისუფალი, ისე კლასიკური სტილით მოჭიდავეთა ტურნირებში და ორივეგან წარუმატებლად. 1956 წელს კლასიკური სტილით ჭიდაობდა და ამერიკელი ჯეიმს პეკამის და თურქი ისმეთ ათლის ქულებით დამარცხების შემდეგ გივი კარტოზიასთან წააგო და საბოლოოდ მე-5 ადგილზე გავიდა. ჰელსინკიში მოპოვებული ბრინჯაოს მედალი 1955 წლის მსოფლიო ჩემპიონის ყველაზე დიდი ოლიმპიური წარმატება იყო. აქ მან წმინდად დაამარცხა ბელგიელი აუგუსტუს ევერაერტსი, ქულებით მოუგო შვედ ბენგტ ლინდბლადსა და სამხრეთაფრიკელ კარელ გოდფრიდ რეიცს; ციმაკური-

გივი კარტოზია,
ელენე გოკიელი
და დავით ციმაკურიძე



დავით ციმაკურიძე, გივი კარტოზია და ვასილ ილურიძე





სსრ კავშირის ნაკრები თავისუფალ ჭიდაობაში. მარცხნიდან მესამე, დავით ციმაკურიძე. 1950-იანი წლები

ძესთან დამარცხების შემდეგ კი მე-3 ადგილს დასჯერდა, ისე რომ მეტისთვის ბრძოლა არ ინდომა და ტახტისთან ორთაბრძოლაზე უარი განაცხადა. გურიჩი მაინც შეხვდება ტახტის, თუმცა ეს იქნება უკვე რომში, სადაც ირანელი მას ხუთ წუთში დაამარცხებს.

„გურიჩი თავიდანვე ორჯერ დავატრიალე, საპასუხოდ მან ერთხელ გადამიყვანა ჩოქბჯენში. ეს ანგარიში სრულიად მაძლევდა ხელს და თავი აღარ მომიკლავს. ძალებს ვზოგავდი. რამდენჯერმე ხიდზეც დავაყენე ის შენი უნგრელი, მაგრამ მთლად საიმედოდ ვერა და გავუშვი. აღარ გავრისკე და ტექნიკურ გამარჯვებას დავჯერდი. თუმცა, რომ იტყვიან, თავი შემაკლა და კარგა გვარიანად დამღალა. მერე უნდა დამესვენა, გურიჩი კი ტახტის შეხვედროდა. მაგრამ გურიჩმა მუხლის ტკივილი მოიმიზეზა, ექიმს უხმო და არ იჭიდავა. ახლაც არ ვიცი, მართლა სტკიოდა თუ არა მუხლი გურიჩს, მაგრამ ფაქტია, რომ მან ბრინჯაოს მედალი გაინაღდა, მე კი დაღლილი და ნაჭიდავები, 20 წუთის შემდეგ დასვენებულ ტახტის უნდა შევხვედროდი ოქროს მედლისათვის“.

ერთი შეხედვით, ამას ტახტისთვის დიდი უპირატესობა უნდა მიეცა, ალბათ ასე ფიქრობდა თავად ტახტიც, მაგრამ საქმე პირიქით იყო.

„წესად მქონდა, ყოველი შეხვედრის წინ 25-წუთიანი მოთელვა გამეკეთებინა. გურიჩთან ჭიდაობის შემდეგ ისე ვიყავი გახურებული, რომ მოთელვა აღარ დამჭირვებია“.

ჭიდაობა იმ დროს მთელ 15 წუთს გრძელდებოდა, რაც მოჭიდავეთაგან სხვა ყველაფერთან ერთად დიდ ფიზიკურ გამძლეობასაც მოითხოვდა. გამძლეობა კი დავით ციმაკურიძეს სხვაზე მეტი ჰქონდა — ჩანს, მართლა არ ჩაევლო უქმად ბავშვობისდროინდელ გატაცებებს სპორტის სხვადასხვა სახეობით, მარათონულ გაცურვებს მცხეთასა და თბილისს შორის.

ოლიმპიადის ვერცხლის მედალს კი დავით ციმაკურიძეს უკვე ვერავინ შეეცილებოდა, მაგრამ მისთვის ის ვერცხლის მედალი დამარცხების ტოლფასი იქნებოდა.

* * *

მაშინაც და დღესაც ბევრს ლაპარაკობენ მოჭიდავეთა ოლიმპიური გუნდის დაკომპლექტების ხარვეზებზე. ჯერ იყო და, ძლივს შეიყვანეს გუნდში არ-

სენ მეკოკიშვილი, 40 წლის სპორტსმენის ნდობა როგორ შეიძლებაო, ამბობდნენ, თუმცა ბელოვის შემთხვევაში პირიქით — ასაკი არად ჩააგდეს, ბალავაძეზე გამოცდილია და სწორედ მას უნდა ვენდოთო...

აი, რას წერდა ამ ამბების შესახებ ნოდარ გუგუშვილი:

„დასამალი რაა, სპორტის მესვეურებიც ბევრს სცოდავდნენ. ჰელსინიკის ოლიმპიადაზე, მაგალითად, ვახტანგ ბალავაძე და გივი კარტოზია წაიყვანეს, როგორც გუნდის სათადარიგო წევრები. მათ სერგეი რიბალკო და უკვე ასაკში შესული ნიკოლოზ ბელოვი ამჯობინეს“.

ციმაკურიძეს ნაკრებში მოხვედრის პრობლემა არ ჰქონია. ასპარეზობის წინ წონა ჰქონდა დასაკლები, ეს იყო და ეს.

„ჩემი მთავარი კონკურენტები იყვნენ ლენინგრადელი სერგეი პრეობრაჟენსკი, კიეველი ნიკოლაი კომოვი, როსტოველი ხანტემურიანი და სხვები. მათ სიტემატურად ვამარცხებდი და ფინეთში უყოყმანოდ წამიყვანეს. ძალიან დასანანია, რომ ერთმა ცნობილმა ქართველმა მწვრთნელმა მაშინ საბჭოთა კავშირის ნაკრებში არ ჩარიცხა გივი კარტოზია და ვახტანგ ბალავაძე, რომლებიც უეჭველად ოქროს მედლებისთვის იბრძოლებდნენ. ისინი 1952 წელს ჰელსინკიში ტურისტებად იყვნენ და ტრიბუნებიდან ადევნებდნენ თვალს პაექრობებს“.

ასე იყო, თუ ისე, სოჭსა და ვიბორგში ჩატარებულ სასწავლო-საწვრთნელ შეკრებებზე გუნდის საბოლოო შემადგენლობა დადგინდა და საბჭოთა ოლიმპიური დელეგაცია ფინეთს გაემგზავრა.

* * *

წინა ოლიმპიადა ამ წონაში ამერიკელმა გლენ ბრენდმა მოიგო, რაც არავისთვის მოულოდნელი არ ყოფილა, რადგან თავის(უფალ) ჭიდაობაში ამერიკელები არათუ ამ წონაში, საერთოდაც მუდამ ძლიერები იყვნენ, მაგრამ ლონდონის თამაშების შემდეგ ძალთა თანაფარდობა რამდენადმე შეიცვალა — უმაღლეს ჯილდოებზე სერიოზული პრეტენზიები განაცხადეს თურქებმა და ირანელებმა.

ოლიმპიადამდე ერთი წლით ადრე გამართული მსოფლიო ჩემპიონატი საშუალო წონაში თურქმა ჰეიდარ ზაფერმა მოიგო. 22 წლის ირანელმა მო-

ჭიდავემ გოლამრეზა ტახტიმ იმ მსოფლიო ჩემპიონატზე ვერცხლის მედალი დაიმსახურა და ჰელსინკიში უმთავრეს ფავორიტად ჩავიდა. მით უმეტეს, რომ 31 წლის მსოფლიო ჩემპიონი ვერ იყო საუკეთესო ფორმაში. მსოფლიოს იმ ჩემპიონატში საბჭოთა მოჭიდავეები არ გამოსულან: სისტემამ ჩათვალა, რომ მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობა საოლიმპიადო სამზადისს ხელს შეუშლიდა.

თუმცა მაშინ ციმაკურიძე ქვეყნის ექვსგზის ჩემპიონი იყო, ჰელსინკის ოლიმპიადა მისი პირველი ოფიციალური საერთაშორისო ასპარეზობა გახლდათ და მისი საშინაო წარმატებები უცხოელთათვის ბევრს არაფერს ნიშნავდა. მაგრამ ქართველი ფალავანი ჰელსინკიში ამბიციური საჩემპიონო გეგმებით ჩავიდა და ეს გეგმები არც მას შემდეგ შეუცვლია, რაც გაიგო, რომ მის წონაში ყველაზე ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი.

„შინ ხელცარიელი დაბრუნება არ შემეძლო. ის კი არა, დღესაც მახსოვს ერთი ჩემი ნათესავის სიტყვები, მამაშენის შვილი გალახული არ უნდა გვეჩვენოსო!“

ტახტი თავის ყველა ძირითად მოწინააღმდეგეს იცნობდა ციმაკურიძის გარდა, მაგრამ ფინეთის დედაქალაქში არც ის და არც მისი მწვრთნელი არ მალავდნენ, რომ ოქროზე ნაკლები ჯილდო მათთვის წარუმატებლობა იქნებოდა. მართლაც, ტახტიმ ფინალამდე ყველა შეხვედრა მოიგო და ფინალურ ორთაბრძოლაშიც ენერგიითა და გამარჯვების წყურვილით აღსავსე გავიდა. სპეციალისტები ახალგაზრდა ირანელს უპირატესობას ანიჭებდნენ 27 წლის ციმაკურიძესთან შედარებით, მით უმეტეს, რომ დავითს ერთი ორთაბრძოლა წაგებული ჰქონდა, ტახტის კი ყველა მოეგო.

ოლიმპიური დოსიე. გოლამრეზა ტახტი (ირანი).

დაიბადა 1930 წლის 17 მაისს. მოკლეს 1968 წლის 8 იანვარს. 1952-1964 წლებში ოთხჯერ მონაწილეობდა ოლიმპიურ თამაშებში. მოიპოვა ერთი ოქროს (1956) და ორი ვერცხლის (1952, 1960) მედალი. მისთვის ბოლო ოლიმპიადაზე 34 წლის ტახტიმ მე-4 ადგილი დაიკავა. ჰელსინკიში ტახტის ყველაზე მეტი — ექვსი ორთაბრძოლის ჩატარება მოუხდა. მან წმინდად დაამარცხა 37 წლის ფრანგი ანდრე ბრუნო (3.55), 26 წლის ფინელი ვეიკო ლაჰტი (5.10) და 21 წლის არგენტინელი ლეონ გენუთი (5.55); შემდეგ ქულებით მოუგო 31 წლის მსოფლიო ჩემპიონს ჰეიდარ ზაფერს და რევანში აი-

ღო მსოფლიო ჩემპიონატში დამარცხებისთვის; ბოლოს კი ასევე ქულებით დაამარცხა 33 წლის გერმანელი გუსტავ გოკე და გურიჩის უარის შემდეგ ოქროს მედლისათვის გადამწყვეტ ორთაბრძოლაში ციმაკურიძეს შეხვდა.

„ბოლო მეტოქედ კიდევ უფრო ძლიერი, ირანის შაჰის ფალავანი გოლამრეზა ტახტი მყავდა (რომელმაც წინა ტურში ძლიერი გერმანელი გოკე დაამარცხა), გურიჩი ბედს ვადაზე ადრე შეეგუა. მიხვდა, რომ მესამე ადგილზე მაღლა ვერაფრით ავიდოდა და ტახტის აღარ ეჭიდავა. ამრიგად, ირანელი ჩემთან დასვენებული გამოვიდა. თუმც მეც მეორე სუთქვა გამეხსნა“...

ნოდარ გუგუშვილის სიტყვებით, „თავის თავში დაჯერებულმა, უშიშარმა და ოდნავ თავმომწონე ირანელმა ბრძოლა ისე დაიწყო, თითქოს ჩემპიონობა უკვე განაღდებული ჰქონდა. ჭიდაობა მართლაც კარგი იცოდა და რახან ღონიერიც იყო, მეტოქის ნებისყოფის დათრგუნვა სწორედ ღონით გადაწყვიტა. ორჯერ სწრაფად შეუვარდა მეტოქეს ფეხებში და ორჯერვე ჩოქბჯენში გადაიყვანა. ზეზეურად მისი წაქცევა შეუძლებელი იყო — დავითი ამას დროზე მიხვდა და სხვა, უფრო ეფექტური ილეთის ჩატარება სცადა“.

„მივხვდი, რომ რაღაცით უნდა გამეკვირვებინა ტახტი. ზეზეურად მას ვერავინ წააქცევდა. ცდილობდნენ, შორს ყოფილიყვნენ მისგან. მაგრამ არც ეს შველოდა საქმეს. მან ყველას მოუგო წინასწარ შეხვედრებში. და აი, მეც ვწვდი მკლავში. სწრაფად მივუახლოვდი, ვითომ ცაციათი მარჯვენა ფეხში სარმა უნდა გამოვდო. რა თქმა უნდა, მეტისმეტად გავრისკე — ტახტის ადვილად შეეძლო თავისუფალი ხელით დაეჭირა ჩემი ფეხი. ეს ოსტატურად იცოდა. მაგრამ მან უნებურად თავი დაიცვა. უკან გადგა ის ფეხი, რომელზეც იერიში მიმქონდა. ცაციას დაეყრდნო. გესმის? რაღაც ერთ წამს თითქმის გაიმართა. ცალ ფეხზე იდგა. საშიში აღარ იყო. მის ქვეშ ჩავჯექი და ჩაზნექილმა გადავაგდე. ორი ქულა დავიბრუნე. კიდევ კარგი, ასე მოხდა. ძალიან მეშინოდა, რომ მოასწრებდა თავდაცვას ან, რაც უარესია, თვითონ გადმოვიდოდა შეტევაზე... რა თქვი? დიახ, მეშინოდა და თანაც როგორ! აქ გმირის პოზაში ვერ დავდგებოდი, ტახტის ვეჭიდავებოდი!.. აბა შემდეგ დაიწყო, რაც დაიწყო. მე მას ჩემი „ტრიალი“ გავუკეთე, მან — თავისი „მაკრატელი“. არის ასეთი გადატრიალება ჩოქბჯენში — ხერხემალი სპირალივით იგრიხება. ეს არცთუ სასიამოვნოა, განსაკუთრებით მაშინ, როცა მას ისეთი ოსტატი ასრულებს, როგორიც ტახტი იყო. ჩემს ტრიალს ვერავინ გადაურჩა, ტახტი კი რამდენჯერმე ხიდურით გამის-

ხლტა. მაღალი და მაგარი ხიდი ჰქონდა, ჩვენი მუხრანის ხიდივით. ფოლადის კაცი იყო. მეც როგორღაც თავს ვაღწევდი მის ფანდებს. ასე ვჭიდაობდით.“

ციმაკურიძე-ტახტის ორთაბრძოლა მოჭიდავეთა ოლიმპიური ტურნირის ნამდვილ მშვენებად იქცა: შეტევა შეტევას ცვლიდა, ილეთი — ილეთს. არც ერთი მეტოქე ძალას არ ზოგავდა. მოვლენები ისე სწრაფად ვითარდებოდა, რომ მსაჯები ქულების დათვლასა და შეჯამებას ძლივს ასწრებდნენ. ბოლოს აღმოჩნდა, რომ ქართველ ფალავანს მეტი ქულა დაეგროვებინა და მსაჯმაც მისი ხელი აღმართა გამარჯვების ნიშნად.

იმავე წუთში ხალიჩაზე მეკოკიშვილი, ბალავაძე და კარტოზია შეცვივდნენ, ახალგამომცხვარი ჩემპიონი ციმციმ ხელში აიტაცეს და მრავალრიცხოვანი მაყურებლის ოვაციის თანხლებით გასახდელში გაიყვანეს.

24 ივლისი იდგა 1952 წლისა.

დავით ციმაკურიძე პირველი საბჭოთა ოლიმპიური ჩემპიონია ჭიდაობაში.

საბჭოთა მოჭიდავეთა ნაკრების ყველა წევრი უცხოელებს რუსები ეგონათ, ამ დროს კი გუნდში არც ერთი რუსი არ ყოფილა. მეკოკიშვილისა და ციმაკურიძის გარდა ნაკრებში სამი აზერბაიჯანელი, თითო უკრაინელი, სომეხი და ესტონელი იყო.

რაც შეეხება ტახტის, მასაც ქართული ფესვები ჰქონია. აი, რას უამბობდა დავით ციმაკურიძე ძველ მოცურავესა და ალპინისტს, ოლიმპიური მრავალტომეულის ავტორს, თანაავტორს, კონცეფციის ავტორსა და დიზაინერს ავთანდილ გურასაშვილს:

„ტახტი ვარჯიშისას გავიცანი და თითქოს სხვათა შორის მითხრა, რომ ფერეიდნელი იყო და ბებია ქართველი ჰყავდა. იგი ირანის შაჰის რჩეული ფალავანი იყო, ძალიან ძლიერი მოჭიდავე. მელბურნის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონიც გახდა და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონიც. ვერცხლის მედლებიც მოიპოვა. ჩვენი ჭიდაობისას ძალიან ძლიერი იყო ჩოქბჯენში, როცა მკვეთრ ბრუნს აკეთებდა, მაგრამ მე ამის წინააღმდეგ კარგი დაცვა მქონდა და ვერაფერს გახდა. მე ორჯერ ხიდზე შევაყენე, ის კი ისეთი ძლიერი იყო, მართლა „პარავოზივით“ მიმათრევდა. სამწუხაროდ, 1969 წელს 39 წლისა გარდაიცვალა. ამბობდნენ, შაჰმა მისი პოპულარობა ვერ აიტანა და მოაკვლევინაო. ირანში, სადაც ტახტი გამოჩნდებოდა, ფეხზე ამდგარი ხალხი „ტახ-ტი, ტახ-ტის“ ძახილით ეგებებოდა. იგი ირანის სახალხო გმირად შერაცხეს. რამდენიმე წლის წინათ ჩვენი მო-

ჭიდავეები იყვნენ ირანში და მისი საფლავი მოინახულეს. ხალხს მისთვის რაღაც გრანდიოზული, მავზოლეუმისმაგვარი განსასვენებელი აუგია.“

* * *

საბოლოოდ, საშუალო წონაში პირველი ექვსი ადგილი ასე განაწილდა:

1. დავით ციმაკურიძე (სსრკ/საქართველო); 2. გოლამრეზა ტახტი (ირანი); 3. დიორდ გურიჩი (უნგრეთი); 4. გუსტავ გოკე (გერმანია/გფრ); 5. ჰეიდარ ზაფერი (თურქეთი); 6. ლეონ გენუთი (არგენტინა).

„მესუჰალის“ დიდ დარბაზში კვარცხლბეკზე დგომის წამები შეუდარებელი ბედნიერება იყო. თვალწინ დამიდგა, თუ რა ხდებოდა იმ წუთში საქართველოში და ცრემლებიც წამომივიდა. მსგავსი სიხარული მეორედ გასულ ზაფხულს განვიცადე, ზვიადაურის ოქროთი. თავისუფალ ჭიდაობაში ოლიმპიადაზე გუნდური პირველი ადგილი დავიკავეთ და ამაში ლომის წილი ქართველებს მიგვიძღოდა. ორივე ოქრო ჩვენი იყო. მძიმე წონაში არსენ მეკოკიშვილმა იმარჯვა. ეს რომ სტალინს შეუტყვია, ძალიან გახარებია. დელეგაციის ხელმძღვანელებიც რას აღარ შეგვპირდნენ ჰელსინკიში, 25 ათასი მანეთი უნდა მოეცათ ჩემპიონებისთვის, მაგრამ მერე სიტყვა არ შეასრულეს და მხოლოდ თბილისში დაბრუნებულებს მოგვცეს 5 ათასი მანეთი — ათას-ათასი ჩვენ-ჩვენმა სპორტსაზოგადოებებმა და სპორტის კომიტეტმა, 3 ათასი — მთავრობამ. მჟავანაძემ ბინებითაც დაგვასაჩუქრა. სტალინმა კი მოსკოვში დაბრუნებულებს საგანგებო ნადიმი გაგვიმართა გეორგიევსკის დარბაზში. მთელი მთავრობა შეკრიბა და ერთად ვიქეიფეთ. მოლოტოვმა ითამადა, თუმცა სუფრა მალევე დატოვა, ისე როგორც მთავრობის სხვა წევრებმა და ბოლოს სპორტსმენებიღა დავრჩით. განსაკუთრებული სიხარული ქართველებს ჯერ კიდევ წინ გველოდა. თბილისში მატარებლით წამოვედით და როგორც კი საქართველოში შემოვედით, საოცარი სიყვარული ვიგრძენით. ყველა სადგურზე გახარებული ხალხი გველოდებოდა და გვლოცავდა. საქართველოში კარგ სპორტსმენს ყოველთვის აფასებდნენ. ცოტა ბოლო წლებში შეიცვალა სიტუაცია“.

ცოტა კი არა, კარგა გვარიანად შეიცვალა სიტუაცია; იმდენად, რომ ერთი ხანობა თბილისში ამბავი გავრცელდა, ამურ ციმაკურიძეს ისე უჭირს, თავის ოლიმპიურ მედალს ჰყიდისო.

ვახტანგ ბალავაძე, დავით ციმაკურიძე, არსენ მეკოკიშვილი, გივი კარტოზია, გიორგი სხირტლაძე და მირიან ცალქალამანიძე

მარჯვნიდან პირველი — დავით ციმაკურიძე

ვახტანგ ბალავაძე, გივი კარტოზია და დავით ციმაკურიძე. 1996 წელი

„არა კაცო, რას ამბობ! როგორ გავიმეტებდი! უფრო მეტადაც რომ გამჭირვებოდა, მაინც ვერ შეველეოდი. ეს არც მიფიქრია. უბრალოდ, ერთ-ერთი გაზეთის რედაქციაში მართლა ვთქვი ასეთი რამ, ყასიდად ვთქვი, ხელისუფლების ყურადღება მინდოდა მიმეპყრო, თორემ მართლა კი არ ვაპირებდი გაყიდვას! მეგონა, ხელისუფლება შეფუცხუნდებოდა, მეგონა, შეიგნებდა, რომ ოლიმპიური ჩემპიონი თვეობით მიუღებელი 12-ლარიანი პენსიის იმედად არ უნდა იყოს. შენც არ მომიკვდე! რამდენიმე წლის წინ შევარდნაძემ განკარგულება გამოსცა, 65 წელს გადაცილებულ ოლიმპიურ და მსოფლიო ჩემპიონებს 70-70 ლარი პენსია დაუნიშნეთო. თავდაპირველი სია გივი კარტოზიამ შეადგინა, მაგრამ პორტის დეპარტამენტში რომ მიიტანა, ვისაც ბურთი გაუგორებია, ყველა შეიყვანეს შიგ. ეს 70 ლარი ორჯერ კი მოგვცეს, მაგრამ მერე ესეც შეწყდა. კიდევ კარგი, ეს ბოლო პერიოდია, ოლიმპიურმა კომიტეტმა მოგვხედა ასე თუ ისე“.

ბოლო წლებში დავით ციმაკურიძე კვლავაც ვარჯიშობდა და სპორტის ვეტერანის აქტიური ცხოვრებით ცხოვრობდა. ყურადღებაც არ აკლდა — ხან ერთ ტურნირზე ეპატიჟებოდნენ საპატიო სტუმრად, ხან მეორეზე. იგი ცოცხალ მატიანედ იქცა.

თავის 80 წლის იუბილეზე კვლავაც ჯანზე მყოფი ფალავანი იან დიმოვს ეუბნებოდა:

„დღეგრძელობის საიდუმლო მოძრაობაშია. მე ძალიან ბევრს დავდივარ. დაღმართზე თუ მივდივარ, ძუნძულით გარბენაც შემიძლია... მთავარი ისაა, რომ მე დღემდე პატიოსნად ვვარჯიშობ. სკამიდან ოცდაათ აზიდვას და ორმოც-ორმოცდაათ ჩაჯდომას ვასრულებ.

გამიგე, ძვირფასო, მე ვეტერანის წოდებას პატიოსნად ვატარებ. სკოლებში დავდივარ, ბავშვებს ვხვდები და მათ ჩვენს პირველ ოლიმპიელებზე ვესაუბრები. მე ხომ მარტო დავრჩი 1952 წლის ოქროს ექვსეულიდან. ცოცხლები აღარ არიან დიდი ადამიანები, ჩემი ძმები: არსენ მეკოკიშვილი, შაზამ საფინი, ბორის გურევიჩი, იაკოვ პუნკინი, იოჰანეს კოტკასი...

ბევრს ვმოგზაურობ. ცოტა ხნის წინათ ტურნირზე მიმიწვიეს დაღესტანში და ქალაქ ჰასავიურტის საპატიო მოქალაქის წოდება მომანიჭეს. ამის შესახებ თბილისში რომ შეიტყვეს, იეჭვიანეს და თბილისის საპატიო მოქალაქეც გავხდი. თბილისში 72 წელია ვცხოვრობ და 73-ე წელს საპატიოებში გავედი.“

* * *

ის წელიწადი ჰელსინკის თამაშებით არ დამთავრებულა: ოლიმპიურმა ჩემპიონმა ჯერ ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების სპარტაკიადაში გაიმარჯვა და მერე ბაქოში გამართულ საკავშირო ჩემპიონატზე მეშვიდედ მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება თავისუფალ ჭიდაობაში.

ციმაკურიძე მომდევნო წელს ბუქარესტში გამართულ ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მე-4 მსოფლიო ფესტივალზე ტრავმირებული გამოვიდა, მაგრამ ამის მიუხედავად, ვერცხლის მედალს დაეუფლა. ვერცხლის მედალს დასჯერდა 29 წლის ვეტერანი 1954 წელს გამართულ საბჭოთა კავშირის მორიგ ჩემპიონატშიც.

ოლიმპიადის შემდეგ კიდევ ორ წელიწადს გამოდიოდა დავით ციმაკურიძე და მთელი ის პერიოდი ტრავმები აწუხებდა.

„შემდეგ ოლიმპიადამდე აქტიური კარიერა დავასრულე. 1953-1954 წლებში რამდენიმე საერთაშორისო ტურნირში ვიჩემპიონე. კარიერის ბოლო ხმაურიანი გამარჯვება კი თბილისის ცირკში მოვიპოვე 1954 წლის შემოდგომაზე“.

იმ წელიწადს თბილისს ამხანაგური შეხვედრის ჩასატარებლად იაპონიის მოჭიდავეთა გუნდი ეწვია. მასპინძლებმა 6:2 გაიმარჯვეს. იაპონელთა ღირსებას საშუალო წონაში იმ წლის მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი კაცუო კაცურატომო იცავდა. მას მსოფლიო პირველობაზე ირანელთა აბას ზანდიმ და თურქმა ისმეთ ათლიმ აჯობეს, რომლებმაც შესაბამისად ოქროსა და ვერცხლის მედლები მოიპოვეს. 1956 წლის ოლიმპიადაზე კაცურატომო ორივესთან რევანშს აიღებს, ზანდისაც მოუგებს და ათლისაც, მაგრამ ეს მხოლოდ მე-5 ადგილისთვის იქნება საკმარისი. თბილისში კი 20 წლის ფალავანმა ღირსეულად იბრძოლა, თუმცა ამურ ციმაკურიძემ იგი შედარებით ადვილად დაამარცხა; ქულებით, მაგრამ ლამაზად.

ეს ოლიმპიური ჩემპიონის ბოლო ორთაბრძოლა იყო. წინა წელს მან საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი დაამთავრა და მწვრთნელობა დაიწყო — თანაც პირდაპირ უმაღლეს დონეზე: ინსტიტუტი ახალი დამთავრებული ჰქონდა, რომ საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელად მიიწვიეს.

„1956 წელს ავსტრალიურ ოლიმპიადაზე უკვე საბჭოთა ნაკრების მწვრთნელის რანგში ჩავედი და გუნდური ჩემპიონობითაც გავიხარე. ირანელი ტახტი უკვე მძიმე წონაში გადასულიყო და ჩემპიონიც გახდა. პირადად შეხ-

ვედრისას დანანებით მკითხა, რატომ არ ჭიდაობდიო. კაცს რევანში სწყურო-და. მეორე ადგილი მელბურნში ჰოჯმა დაიკავა. საშინლად განაწყენდა, ოლიმ-პიური ჩემპიონი რომ ვერ გახდა, საერთოდ მიატოვა ჭიდაობა და პროფესიულ კრივში გადავიდა, სადაც დიდი წარმატებით გამოდიოდა“.

მელბურნში საბჭოთა მოჭიდავეებმა კვლავ პირველი ადგილი დაიკავეს და დავით ციმაკურიძეს მისი აღსაზრდელების მიერ მიღწეული წარმატებე-ბისთვის საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის საპატიო წოდება მიენიჭა.

* * *

„როგორც იქნა, მოახლოვდა გადამწყვეტი წუთები. ედინბურგის ჰერცოგ-მა ოლიმპიური თამაშები გახსნილად გამოაცხადა, რასაც მოჰყვა აპლოდის-მენტების ძლიერი ტალღა. დაიწყო საზეიმო მარში. ტრადიციულად პარადი გახსნეს საბერძნეთის — ოლიმპიური თამაშების სამშობლოს სპორტსმენებმა. შემდეგ დელეგაციები გამოემართნენ ლათინური ალფაბეტის მიხედვით. თავ-შეუკავებელი ოვაციების ახალმა ტალღამ იფეთქა, როდესაც ტრიბუნებს ჩაუ-არეს საბჭოთა კავშირის ოლიმპიელებმა. თეთრ კოსტიუმებში გამოწყობილი საბჭოთა სპორტსმენების კოლონას წითელი დროშით ხელში მოუძღოდა ცნო-ბილი ძალოსანი ალექსი მედვედევი.

ამ დროს ცენტრალურ სტადიონზე ყველაფერი სადღესასწაულო იერს ატარებდა, მაგრამ ამათში მაინც ყველაზე დაუვიწყარი ოლიმპიური დროშის აღმართვა იყო, რადგან იგი სიმბოლურად ხუთი კონტინენტის ურღვევ მე-გობრობაზე მეტყველებდა. წამით სტადიონზე ჩამობნელდა. „კრიკეტ გრა-უნდის“ თავზე ათასობით მონავარდე მტრედმა მსოფლიოს აუწყა ოლიმპიუ-რი თამაშების გახსნა. შესასრულებელი დარჩა საზეიმო ცერემონიალის კი-დევ ორი მნიშვნელოვანი აქტი — ოლიმპიური ჩირაღდნის ანთება და ოლიმ-პიური ჰიმნი.

ოლიმპიური ჩირაღდანი. ეს ორი სიტყვა თავისი მნიშვნელობით ურყევ კონტექსტშია იმ ლამაზ ტრადიციებთან, რომლებითაც აღსავსეა მთლიანად ოლიმპიური თამაშები. კიდევ მეტიც, იგი პირველი სიგნალია, პირველი მერ-ცხალია ამ მნიშვნელოვანი ამბების ჯაჭვში. ოლიმპიური თამაშები 22 ნოემ-

ბერს მელბურნში ფორმალურად გაიხსნა. ფაქტიურად ეს გრანდიოზული ზეიმი დაიწყო გაცილებით ადრე — 2 ნოემბერს, როდესაც საბერძნეთში ოლიმპოს მთაზე ბერძენმა ქალიშვილებმა დაანთეს ოლიმპიური ჩირაღდანი.

ოლიმპიურმა ჩირაღდანმა საკმაოდ გრძელი გზა გამოიარა, ვიდრე მოხვდებოდა ავსტრალიის მატერიკზე. მაგრამ არც ეს იყო ჩირაღდნის მარშრუტის დასასრული. 25 დღე-ღამის განმავლობაში 2750 ავსტრალიელ მორბენალს მოჰქონდა იგი მელბურნამდე. 3500-კილომეტრიან გზაზე ყოველი მილის შემდეგ ცვლიდნენ სპორტსმენები ერთმანეთს, რომ ესტაფეტა უვნებლად და დანიშნულ დროს ჩაეტანათ „კრიკეტ გრაუნდზე“.

და, აი, ისიც გამოჩნდა! ოლიმპიური ჩირაღდანი უკანასკნელ ეტაპზე მოაქვს რ. კლარკს. იგი სარბენ ბილიკზე 450-იარდიან ნახევარ წრეს ხაზავს და შემდეგ უახლოვდება ურნას. სპორტსმენს ოლიმპიური ფიალისაგან აშორებს მხოლოდ 85 ნაბიჯი. სტადიონი დაყრუებულია ოვაციისაგან. წამიც და ფიალაში აგიზგიზდა ოლიმპიური კოცონი — XVI ოლიმპიური თამაშები დაიწყო! ორკესტრმა შეასრულა ოლიმპიური ჰიმნი“.

ეს გახლავთ ოლიმპიური თამაშების საზეიმო გახსნის პირველი აღწერა, ქართულად დაწერილი ქართველი კაცის მიერ. მე აქ შეგნებულად არ დავწერე „ქართველი ჟურნალისტის მიერ“, რადგან ოლიმპიური რეპორტაჟების ციკლს, რომლიდანაც ეს ფრაგმენტია ამოღებული, ხელს აწერს... სპორტის დამსახურებული ოსტატი დ. ციმაკურიძე.

ეს რეპორტაჟები უკვე ოლიმპიადის დასრულების შემდეგ გამოქვეყნდა და გაგრძელებებით იბეჭდებოდა „ლელოში“ 1957 წლის იანვარში.

დ. ციმაკურიძის ხელმოწერით დაბეჭდილი მელბურნული რეპორტაჟები პირველი ოლიმპიური რეპორტაჟები გახლავთ ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში. და თუმცა ოლიმპიურ ჩემპიონს ამ რეპორტაჟების გაჩარხვაში აქტიურად ეხმარებოდა ქართული სპორტული ჟურნალისტიკის ერთ-ერთი მესაძირკვლე ნოდარ გუგუშვილი, და ეს არც დავით ციმაკურიძეს დაუმალავს, შეიძლება ითქვას, რომ პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი ამავე დროს ქართული ოლიმპიური ჟურნალისტიკის სათავესთანაც დგას.

საქართველოს წარმომადგენლებმა ჟურნალისტური აკრედიტაციები ოლიმპიურ თამაშებზე პირველად 1960 წელს მიიღეს — ოლიმპიადის გასაშუქებლად რომში გაემგზავრნენ გარუნ აკოფოვი და ზურაბ ჯაფარიძე. მას

შემდეგ არ ყოფილა ოლიმპიადა, რომ მას ერთი ქართველი ჟურნალისტი მაინც არ დასწრებოდა, მაგრამ მანამდე, 1960 წლამდე, ჟურნალისტთა მივლინება ამა თუ იმ სპორტულ ასპარეზობაზე, მათ შორის — ოლიმპიადაზეც, ბევრი მიზეზის გამო პრობლემური იყო და რედაქცია არცთუ იშვიათად სპორტული დელეგაციის ამა თუ იმ წევრს სთხოვდა, გაზეთის კორეპონდენტის ფუნქციებიც შეეთავსებინა. ასე „გააჟურნალისტეს“ დავით ციმაკურიძეც, რომელმაც ამ მხრივაც გამოიჩინა თავი. პირველსკოლადამთავრებულებს ტრადიციულად გონებაც კარგად უჭრიდათ და კალამიც.

როცა თავადაც ძველმა ლელოელმა, ყოფილმა მოცურავემ, საქართველოს არაერთგზის ჩემპიონმა, სახელოვანმა სპორტულმა ჟურნალისტმა, ფოტოხელოვანმა, მთამსვლელმა და დიზაიერმა ავთანდილ გურასაშვილმა მას ამის შესახებ ჰკითხა, დავით ციმაკურიძემ მიუგო:

— „ლელოს“ ფოტოკორესპონდენტი მიხეილ ზარგარიანი შემიჩნდა, საზღვარგარეთ ამდენს რომ დადიხარ, მოდი, ფოტოგრაფიას გასწავლი და საგაზეთო მასალები ჩამოგვიტანეო. ფოტოაპარატს ასე მოვკიდე ხელი. წერილებს კი ასევე ჩემი ძველი მეგობარი, ჩინებული ჟურნალისტი და პიროვნება ნოდარ გუგუშვილი მირანდავდა. ასე გაჩნდა ჩემი ხელმოწერით „ლელოსა“ და სხვა გაზეთების ფურცლებზე მელბურნის ოლიმპიურ თამაშებზე, თურქეთში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე და სხვაგან მოასპარეზე ქართველ ფალავანთა გამარჯვებების ამსახველი წერილები თუ ფოტოები.

აი, ერთი ასეთი ფრაგმენტი დავით ციმაკურიძის ისევ იმ მელბურნული რეპორტაჟებიდან:

„არის შემთხვევები, როდესაც ჩვეულებრივი, ელემენტარული მათემატიკა ჭიდაობის სფეროშიც კი იჭრება. ასეთ დროს ყველა ხელში მომარჯვებული ფანქრებით, თავჩაღუნული ჩაკირკიტებს ქაღალდის ნაგლეჯს, რომელზედაც სრულდება ორი მათემატიკური ოპერაცია — შეკრება და გამოკლება. კლასიკურ მოჭიდავეთა ტურნირის უკანასკნელ წრეში სხვებზე უფრო მეტად „მათემატიკოსობდნენ“ ფინელები. მათ მთავარ ფავორიტს, მიაკინენს (ქვემსუბუქი წონა) უკვე დამთავრებული ჰქონდა შეჯიბრება. სადემონსტრაციო დაფაზე და მასთან ასობით უბის წიგნაკებში ფინელის გვარის გვერდით ეწერა ციფრი 4. ეს ნიშნავდა, რომ მიაკინენს ჰქონდა ერთი წაგება ძნელაძისაგან და ერთი მოგება ქულებით უნგრელ პოიაკთან ე. ი. ოთხი საჯარიმო ქულა. ამ წონაში

დარჩა მხოლოდ ერთი შეხვედრა ძნელაძე–პოიაკი. საბჭოთა მოჭიდავე ერთი ქულით (ფინელზე გამარჯვებისათვის) ჯერჯერობით ლიდერობდა შეჯიბრებას. მაგრამ ოქროს მედალს ჰყავდა კიდევ ერთი პრეტენდენტი — პოიაკი, რომელიც რომან ძნელაძესთან შეხვედრამდე 3-ქულიანი იყო. შეიქმნა თავსატეხი მდგომარეობა. ძნელაძე მოგების შემთხვევაში ჩემპიონია, წაგებისა კი? საქმე სწორედ ამაშია. მართალია, ჭიდაობაში ქულათა დათვლის არსებული სისტემა ყველაზე რაციონალურ და მიზანშეზონილ სისტემად ითვლება, მაგრამ მან დიდი ბზარი მოგვცა ამ წონითს კატეგორიაში. თუ რომან ძნელაძე ბრძოლას ქულებით წააგებდა, სამივე სპორტსმენს უგროვდებოდა ოთხი ქულა. პირველ ადგილზე გადიოდა ფინელი მოჭიდავე, ძნელაძე კი მესამეზე. თუ რომანი შეხვედრას სუფთად წააგებდა, ოქროს მედალს ეპატრონებოდა უნგრელი, თვითონ კი მეორე ადგილზე გამოდიოდა. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომელსაც ვერ გაექცევი. თუ აგებ, უმჯობესია, თურმე, სუფთად დამარცხდე. გასაგებია ფინელების მღელვარება ამ შეხვედრის მსვლელობაში. რომანმა ბრძოლა პოიაკთან ქულებით წააგო, მოუსპო თავისთავს ვერცხლის მედლის მოპოვების შანსები და ამით მიაკინენი აიყვანა ჩემპიონის კვარცხლბეკზე. სხვა გამოსავალი არ ჰქონდა ვაჟკაცს. იგი ლაჩარივით ვერ „დაუწვებოდა“ მეტოქეს მხოლოდ იმისათვის, რომ ერთი ადგილით ზევით გადაენაცვლა. ფინელები, და განა მარტო ისინი — 5 ათასი მაყურებელი გაოგნებული და აღტაცებული იმეორებდა რომან ძნელაძის სახელს“...

ეს ეპიზოდი ერთი ყველაზე უნიკალური და ამაღელვებელი მომენტია ქართული სპორტის მთელი ისტორიის მანძილზე და მის შესახებ მკითხველს პირველად სწორედ გაჟურნალისტებულმა დავით ციმაკურიძემ უამბო ერთ-ერთ თავის მელბურნულ რეპორტაჟში.

* * *

იან დიმოვმა, ავტორმა წიგნისა „საქართველოს ფალავნები“ დავით ციმაკურიძეს იდეალური მოჭიდავის პორტრეტის შექმნა სთხოვა. აი, რა პასუხი მიიღო მან:

— კეთილი! მაშ, ასე: ლეონიდ ძეკონსკის ღონე. იგი რომ 100 კილოგრამი ყოფილიყო და, მაშასადამე, ძალ-ღონე ორჯერ გაზრდოდა, მთებს დაძრავდა;

ვლადიმერ რუბაშვილის კუნთური მგრძნობელობა; კონსტანტინე კობერიძის ტაქტიკური აზროვნება; არსენ მეკოკიშვილის სიდინჯე; ლევან თედიაშვილის სიმამაცე, გაბედულება, ვაჟკაცობა, სილაღე; არამ იალტირიანის ტექნიკა; ლეონიდ ეგოროვის სტაბილურობა; ვახტანგ ბალავაძის ვირტუოზულობა; ზარიბეგ ბერიაშვილის სიჯიუტე; რომან რურუას ნებისყოფა; იოჰანეს კოტკასის კორექტულობა; იაკოვ პუნკინის ფეთქებადობა; ვახტანგ კუხიანიძის ორგანიზატორული ნიჭი; პეტრე იორდანიშვილის გულკეთილობა; დავით ციმაკურიძის ეშმაკობა; გურამ საღარაძის ფიგურა; ვასილი რიბალკოს ჭკუა; შოთა ლომიძის სერიოზულობა; ალექსანდრ მედვედის შედეგიანობა. ხოლო იმისთვის, რომ ამ წარმოსახვით ათლეტს სული ჩაედგას და ყველას უყვარდეს იგი, ავიღებდი გივი კარტოზიას გულსა და კეთილშობილებას.

საერთოდ, დავით ციმაკურიძეს, როგორც მან ეს თავის არაერთ ინტერვიუში დაადასტურა, ყველა დროის უძლიერეს ქართველ მოჭიდავედ გივი კარტოზია მიაჩნდა და მას თავის კერპად თვლიდა:

„გივი კარტოზია უბადლო, შეუდარებელი პიროვნება გახლდათ. მახოვს, მელბურნის ოლიმპიადაზე მანაც ჩემსავით სასტარტო შეხვედრა წააგო და ჩემსავით შვედთან. მივედი გივისთან, ჩემი პერანგი მივეცი და ვუთხარი: ეს პერანგი ოლიმპიადის ბოლომდე არ გაიხადო, იღბლიანია, ჩემპიონი გახდები-მეთქი. მანაც დამიჯერა და საწადელსაც მიაღწია... ბევრი რამ შემეძლო მეთქვა ამ ადამიანსა და ათლეტზე, მაგრამ დილამდისაც რომ ვილაპარაკოთ, ყველაფრის თქმას ვერ მოვასწრებდი. ამიტომ მხოლოდ გავიმეორებ გივი კარტოზიაა ჩემი კერპი!“

სხვადასხვა დროს დავით ციმაკურიძეს სხვა კერპებიც ჰყავდა, რომლებიც ერთმანეთს ცვლიდნენ, მაგრამ საბოლოოდ მისაბაძ მაგალითად ყველა დარჩა — უფროსიც, თანატოლიც და უმცროსიც.

„ბევრი კერპი მყავდა: მამაჩემი, ვაღარშაკ მაჩკალიანი, შალვა ჩიხლაძე, კონსტანტინე კობერიძე, ნიკოლაი ბელოვი, არამ იალტირიანი, არსენ მეკოკიშვილი, ხოლო მათ დრომდე რომ მეჭიდავა, მაშინ — რომან რურუა და ლევან თედიაშვილიც. გადიოდა წლები, ვიზრდებოდი, ხანში შევდიოდი და ჩემი კერპებიც ერთმანეთს ცვლიდნენ. შემდეგ კი მივხვდი, რომ ისინი კერპები კი არ იყვნენ, არამედ — მისაბაძი მაგალითები და მე მსურდა ამ დიდ მოჭიდავეებს დავმსგავსებოდი“...

ერთ-ერთი ამ სამაგალითო მოჭიდავეთაგანი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, კიეველი არამ იალტირიანი ასე ახასიათებს ციმაკურიძეს:

„დავით ციმაკურიძე არ შეცვლილა. მისი გული ყოველთვის ღიაა მეგობრისათვის. ჭიდაობაში მას ვერაფრით გააკვირვებ, მან კი ბევრი გააოცა. იცოდა მიზანთან მისვლა ყოველგვარი დაბრკოლების მიუხედავად“.

* * *

იმის მიუხედავად, რომ ამ წიგნის ავტორს დავით ციმაკურიძესთან მრავალი წლის ნაცნობობა აკავშირებდა და სახელოვანი ფალავნის სპორტული ბიოგრაფიის დეტალები უშუალოდ მისგან აქვს მოსმენილი, ტექსტში უხვადაა გამოყენებული ფრაგმენტები ქართული პრესიდან, სხვა ავტორთა ნარკვევებიდან თუ ინტერვიუებიდან. ავტორი თვლის, რომ კოლეგათა დახმარებით დავით ციმაკურიძის პორტრეტი უფრო რელიეფური გახდა და მისი სპორტული გზა უფრო მრავალფეროვნად წარმოჩნდა.

დავით ციმაკურიძისადმი მიძღვნილ პუბლიკაციათაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ნოდარ გუგუშვილის, არჩილ გოგელიას, შოთა ღვინიაშვილის წერილები, აგრეთვე თამაზ ალკაბაძის, ირაკლი თავაძისა და სხვა ინტერვიუები.

თამაზ ალკაბაძე ცნობილი ქართველი ფილოლოგის და პუბლიცისტის თამაზ კვაჭანტირაძის ფსევდონიმია. მისი ინტერვიუ დავით ციმაკურიძესთან გაზეთ „ლელოს“ 1993 წლის 27 მარტის ნომერში დაიბეჭდა სათაურით “პირველი, პირველმა, პირველად...“ ეს ინტერვიუ მრავალმხრივ არის საინტერესო, ზემოთ ჩვენ უკვე დავიმოწმეთ მისი ერთი ფრაგმენტი, ახლა კი მეორე ფრაგმენტსაც მოვიხმობთ:

„...ოქრომდე მისვლაა საჭირო. საამისოდ კი ახალგაზრდა კაცმა, სპორტსმენმა ბევრი რამ უნდა მოიკლოს, ბევრ სიამოვნებასა და ცდუნებაზე ხელი აიღოს, უამრავი ოფლი დაღვაროს... ახალგაზრდობა ახლა იმდენს და ისეთი გატაცებით აღარ ვარჯიშობს. ჩემი თაობის მოჭიდავეები ექვსის ნახევარზე რომ წამოვხტებოდით, ცხრა საათამდე მთელი ოქროყანა, მთაწმინდა, ტაბახმელა შემორბენილი გვქონდა. ხალიჩაზე მხარ-თეძოზე კი არ ვნებივრობდით,

სამ-ოთხ მოწინააღმდეგეს ვიცვლიდით სხვადასხვა წონისას — დაუშვილით რომ ვიწყებდი, მაჩკალიანით ვამთავრებდი. ახლა მომრავლდნენ შუა გზაზე შეჩერებული, მცირედითაც კმაყოფილი მოჭიდავეები“...

ქართველ სპორტულ ჟურნალისტთა პირველი თაობის სახელოვანი წარმომადგენელი ნოდარ გუგუშვილი დავით ციმაკურიძის ახლო მეგობარი იყო და არაერთი წერილი მიუძღვნა მას. მათგან განსაკუთრებით გამორჩეულია წერილი, რომლის სათაურია „ლეგენდად შემორჩენილი ხასიათი“, რომელიც დავით ციმაკურიძის 50-ე წლისთავთან დაკავშირებით დაიწერა და რომელიც გაზეთ „ლელოს“ 1975 წლის 29 მარტის ნომერში გამოქვეყნდა.

ეჭვი არ არის, ეს წერილი თავის კუთვნილ ადგილს დაიკავებს ნოდარ გუგუშვილის ნაწერების კრებულში, რომელიც, სამწუხაროდ, ჯერ არ გამოცემულა, ამჯერად კი მის ერთ ფრაგმენტსაც მოვიხმობთ, რომელიც დავით ციმაკურიძის პიროვნებისა და ხასიათის კიდევ უფრო მკაფიოდ გამოკვეთაში დაგვეხმარება:

„ჭიდაობის ისტორიაში სხვა ბევრმა ქართველმა ოტატმა დატოვა კვალი. საქართველოს მადლიან მიწაზე არა ერთი და ორი სახელმოხვეჭილი ფალავანი აღიზარდა, მაგრამ ისეთი გაბედული, შეუპოვარი და შთაგონებით აღსავსე მებრძოლი, როგორიც დავითი იყო, ბარე ორი არ გვყოლია... დავით ციმაკურიძის სპორტული ბიოგრაფიის ყოველ ფურცელს ტიტანური შრომის დაღი ატყვია. ამ შრომაში, ბუნებრივია, სიხარულიც ბევრი იყო და გულისტკივილიც. ისინი — სიხარული და გულისტკივილი — ჭეშმარიტი შემოქმედების პროცესში ერთმანეთის მხარდამხარ დგანან და, რაც უფრო ხშირია მათი მონაცვლეობა, მით უფრო უტყუარია რწმენა უმთავრესისა“.

* * *

2002 წლის შემოდგომაზე საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თაოსნობით აღინიშნა საქართველოს სპორტსმენთა ოლიმპიადებში პირველი მონაწილეობის 50-ე წლისთავი. პირველი ოლიმპიური ჩემპიონი, რა თქმა უნდა, ამ ზეიმის ცენტრში იყო. დილით საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში დაწყებული ზეიმი საღამოს ოპერის თეატრში საიუბილეო საღამოთი გაგრძელდა და ბოლოს „შერატონ მეტეხი პალასში“ დიდებული მიღებით

დასრულდა. საიუბილეო ღონისძიებებში მონაწილეობდა არაერთი საპატიო სტუმარი, მათ შორის — ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთა ევროპის ასოციაციის გენერალური მდივანი, ირლანდიის ეოკის პრეზიდენტი პატრიკ ჰიკი, რომელმაც დავით ციმაკურიძეს დიდი პატივისცემით მიულოცა ოლიმპიური გამარჯვების ნახევარსაუკუნოვანი იუბილე. ლოზანიდან ემოციური მისალმება გამოაგზავნა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჟაკ როგემ.

იმ დღეს ჰელსინკის ჩემპიონები და მათ შორის — ფილასა და ღირსების ორდენების კავალერი დავით ციმაკურიძე, ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენებით დაჯილდოვდნენ. ხოლო საქართველოს ოლიმპიურმა ფონდმა თითოეულ მათგანს 10 ათასი ლარი გადასცა საჩუქრად.

— ვეტერანთა დაფასება და მათთვის პატივის მიგება კარგი სტიმულია ახალგაზრდა სპორტსმენებისათვის, რომლებიც დღეს პირველ ნაბიჯებს დგამენ დიდ სპორტში, — თქვა იმ დღეს დავით ციმაკურიძემ.

პირველ ქართველ ოლიმპიურ ჩემპიონს არასოდეს გაუწყვეტია კავშირი ახალგაზრდებთან, მას არ გამოუტოვება საქართველოში ჩატარებული არცერთი შეჯიბრება ჭიდაობაში, ყველას იცნობდა, ყველას სახელი ახსოვდა, ყველას წინსვლას ადევნებდა თვალს.

აი, რა უთხრა მან 2005 წლის მარტში „სარბიელის“ ჟურნალისტ ოთარ მაღლაკელიძეს:

„ახლა ჩვენი უმთავრესი ბედნიერება ახალი თაობის სპორტსმენების გვერდით დგომა და მათი წარმატებებით ტკბობაა“.

ახალი თაობის გვერდით დგომა და მათი წარმატებებით ტკბობა პირველ ქართველ ოლიმპიურ ჩემპიონს ამის შემდეგ დიდხანს აღარ დასცალდა.

დავით ციმაკურიძე 2006 წლის 8 მაისს გარდაიცვალა 81 წლისა.

13 მაისს გამოასვენეს მისი სახლის მეზობლად მდებარე წმინდა ბარბარეს ეკლესიიდან და საბურთალოს პანთეონში დაკრძალეს.

„ტკივილიანი გაზაფხული დაუდგა წელს ქართულ სპორტს — 1952 წლის ჰელსინკის ტრიუმფატორების შესანიშნავი სამეული ერთი ბერმუხით დაობლდა, ქართველ ოლიმპიელთა ლაშქარს ღირსეული წინამძღოლი გამოაკლდა, ქართული სპორტის კიდევ ერთი ლეგენდა დასრულდა: გარდაიცვალა დავით ციმაკურიძე — პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი საქართველოდან,“

— მთელი ქართული სპორტული, და არა მარტო სპორტული საზოგადოების მწუხარებას გამოხატავდა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ბადრი პატარკაციშვილი ჟურნალ „ოლიმპიელის“ ფურცლებიდან.

* * *

თავისუფალი ჭიდაობა იმთავითვე ყველაზე ძლიერი და უხვმოსავლიანი ოლიმპიური სახეობა იყო საქართველოსათვის. სპორტის არც ერთ სახეობაში არა ჰყავს საქართველოს იმდენი ოლიმპიელი რამდენიც თავისუფალ ჭიდაობაში. სპორტის არც ერთ სახეობაში არ მოუპოვებიათ ქართველ ოლიმპიელებს იმდენი ოქრო-ვერცხლი, რამდენიც თავისუფალ ჭიდაობაში. სულ საქართველოს წარმომადგენლებს გუნდურის ჩათვლით 111 ოლიმპიური მედალი აქვთ მოპოვებული და აქედან თითქმის მეექვსედი — თავისუფალ ჭიდაობაზე მოდის, 33 ოლიმპიური ჩემპიონიდან კი ყველაზე მეტი — 6 სპორტსმენი — თავისუფალის სტილის მოჭიდავეა.

ეს ყველაფერი დავით ციმაკურიძიდან იღებს სათავეს.

ის იყო პირველი.

გავა დრო, მრავალი ათეული წელი, შეიცვლებიან თაობები, ქართველი მოჭიდავეები კიდევ უფრო დიდ წარმატებებს მოიპოვებენ, კიდევ უფრო მეტ ოლიმპიურ ოქრო-ვერცხლს მოიხვეჭენ, ის კი — დავით ციმაკურიძე — მუდამ პირველი იქნება, პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი.

დავით ციმაკურიძე

დაიბადა 1925 წლის 29 მარტს ფოთში. თავისუფალი სტილის მოჭიდავე (79 კგ). პირველი ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი (1952, ჰელსინკი). სსრკ შვიდგზის ჩემპიონი (1945, 46, 47, 49, 50, 51, 52), მეორე (1954) და მესამე (1948) პრიზიორი. სსრკ ჩემპიონატების ორგზის მეორე პრიზიორი (1947, 48) ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, სსრკ და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი. ფილას, ღირსების, ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენების კავალერი.
გარდაიცვალა 2006 წლის 8 მაისს.

DAVID TSIMAKURIDZE

Freestyle wrestler (79 kg), was born on March 29, 1925. The first Georgian Olympic Champion (1952, Helsinki), seven-time champion of the USSR (1945-52), silver (1954) and bronze (1948) medalist. He was twice silver medalist (1947, 1948) of the USSR championships in Greco-Roman wrestling, honored master of sports of the USSR and the honored coach of the USSR and Georgia. Tsimakuridze was decorated by FILA order, Order of Honor and Vakhtang Gorgasali Order of the 2nd class. Deceased on May 8, 2006.